1895 წელსა. № 17—18 1—30 სექტემბერსს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწყემსი

ოფიციალური გაზეთი.

ბ-ნ უწმიდესის სინოდის ობერ-პროკურორის მოწერილობა,

მისს მაღალ ყოველად უსამღვდელოესობის, საქართველოს ექსარხოსის სახელობაზედ წარმოგზავნილი.

ყოველად უსამღვდელოესო მეუფეო, მოწყალეო მწყემსთმთავარო.

ზემი წარდგენილობა, ამა 1895 წლისი 23 აპრილისა მე-350 №-რი (რომლის დანეწდილი პირი ამასთან გეგზავნებათ), სახელმწიფო საბჭოში იმის შესახებ, რომ სახელმწიფო ხაზინიდგან ყოველ წლიურად 3.276,205 მან. გადაიდოს საეკლესიო-სამრევლო და წერა-კითხვის სასწავლებლებისა და ამა სასწავლებლების ინსპექტიის შესანახად სახელმწიფო ეკონომიის დეპარტამენტის მიერ შეწუნარებულ იქმნა და ამ საგნის შესახებ დადგენილი სახელმწიფო საბჭოს აზრი ამა 1895 წლის 5 ივნისს დირს იქმნა მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის უმაღლესის დამტკიცებისა.

იმის წყალობით რომ ხელმწიფე ეურადღებით ეკიდება მართლ-მადიდებელ სამღვდელოების ღვაწლს საერო განათლების აღმარეზზედ, უწმიდესი სინოდი 1896 წლის პირველ იანვრიდგან სახელმწიფო ხაზინისაგან მიიღებს ყოველ წლიურად შესაწევარს სამრევლო საეკლესიო სასწავლებლებისათვის, 175.000 მან. გარდა, რომელიც წინად ეძლეოდა ამ საქმისათვის, სამს მილიონს ორას სამოცდა-ცხრამეტს ათასს ას ორმოცდა-ხუთს მანეთს.

ხელმწიფე იმპერატორის ესოდენ დიდი ნდობა მართლ-მადიდებელს სამღვდელოებას ავალებს, რომ განსაკუთრებული ზრუნვა იქონიოს, საკუთრებით განამრავლოს ეს ნდობა და ჯეროვანი ღონისძიებანი იხმაროს, რომ ხაზინიდგან ერის განათლებისათვის მოცემულმა შესაბმელმა თანხამ უხვი ნაყოფი გამოიღოს. ამ საგნისათვის ყოველთ უწინარეს საჭიროა, რომ დიდის სიფრთხილით ირჩეოდეს სახელმწიფო ფული და წინ დახედულობა ათმორჩეულ იქმნენ ის პირნი, რომელნიც მოწოდებულნი იქნებიან ერის განათლების წმიდა საქმის სამსახურად.

აქამომდე ათი ათასობით არსებობდა საეკლესიო სამრევლო სასწავლებელი და უმეტესად ადგილობრივი ს შეძლებით ინახებოდა, ხოლო ამ შეძლებას თვით სამღვდელოებაც ღონისძიებობდა, ხაზინისგან-კი მცირენი დახმარება ეძლეოდათ. მეთვალყურეობა დაარსებულ სასწავლებლებისა სამღვდელოების უსასყიდლო ბეგარას შეადგენდა. ასეთს გარემოებაში შეუძლებელი იყო საეკლესიო სასწავლებლების უსასყიდლო მშრომელებისაგან მოგვეთხოვნა, რომ ეს საქმე ბედაგოგიის მოთხოვნილებისამებრ ეწარმოებინათ. ამიერიდგან ვითარება საქმისა ძირეულად იცვლება. სახელმწიფოს შესაწევარი ადგილობრივს შეძლებას შეუთანაბრდება და სასწავლებლებზედ წესიერის მეთვალყურეობის გასაწევად დაარსებული იქნება ინსპექტიები სასყიდლით.

საეკლესიო სასწავლებლების მთავარ-სამმართველო 1896 წლის პირველ იანვარამდე დრო იმას მოახმარებს, რომ ყოველ მხრივ მოემზადოს ახალის წესრიგისთვის. გავბედავ და იმედს ვიქონიებ, რომ ამ სასწავლებლების ადგილობრივ მმართველნი დაწესებულებანიც ამ მხრივ შეძლებისამებრ დახმარებას აღმოუჩენენ მთავარ-სამმართველოს.

საეკლესიო-სამრევლო სასწავლებელი, როგორც ამ სახელისაგანაც სჩანს, საეკლესიო-სამრევლო სასწავლებელია, რომელსაც უმეტესად მრევლი ინახავს და რომელსაც ჭეშმარიტ ადგილობრივი მღვდელი სამრევლოს საუკეთესო წარმომადგენელთა დახმარებით. ამ მიზეზით, სასწავლებლების სამეთვალყურეოდ, საეპარსამოსწავლო ხაბჭოთა და იმათ განყოფილებათა წევრებად, აუცილებელ წარმომადგენელთა გარდა სასულიერო უწყებისა და საერო განათლებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროთაგან, საეპარქიო მთავრობას ნება დართული აქვს მოიწვიოს სასულიერო და საერო წოდების პირნი, რომელნიც კარგად იცნობენ პირველ-დაწყებითს სასწავლებლებს და ადგილობრივ მკვიდრთა საჭიროებანიც კარგად იციან. ამიტომ სასურველია, რომ საეპარ-

ქ�სამოსწავლო საბჭოთა ადგილობრივ სამაზრო განყოფილებათ, უკვლა წყვრო თანადასასრულებით, სოლო, ამა ღირს შესანიშნავ გარემოებათა გამო, საჭიროებისა მებრ, იმ პირთა მონაწილეობითაც, რომელნიც საეკლესიო-სამრევლო სასწავლებელთა საქმეს გულ-მოდგინედ ეკიდებიან და რომელთაც მისი ავ-კარგიანობა კარგად იციან, აგვისტოს თვის განმავლობაში ქვემოდ მოხსენებული საკითხვები განიხილონ და განსაჯონ:

1) მაზრის რომელი მღვდელი შეიძლება წარდგენილი იქნას საეპარქიო სამოსწავლო საბჭოში კანდიდატად (სამზედ არა უმეტესი) სამრევლო-საეკლესიო და და წერა-კითხვის სასწავლებლების სამაზრო მეთვალყურეთა თანამდებობაზედ;

2) რა წესით უნდა იქმნას დადგენილი ზომიერება შრომისა სამრევლო სამსახურში იმ ორ და სამ-შტატიან კრებულთა შორის, რომელის ერთს წყვრსაც სამაზრო მეთვალყურის მოვალეობა ექმნება დაკისრებული:

3) მაზრის რომელს ადგილებში უფრო სამჯობინარია და საჭირო, რომ ორ კლასიანი სასწავლებლები იქმნას დაარსებული წერა-კითხვის სასწავლებელთა მასწავლებლების მოსამზადებლად; ამასთან ხსენებულ ადგილთა გეოგრაფიულ მდებარეობასა გარდა მხედველობაში უნდა იყოს მიღებული ესა თუ ის შემოწირულებანი განსაკუთრებით მიწებისა და უსასყიდლო შენობებისა, რადგან ამ გვარს და სხვა შემოწირულებას შეუძლიან დაჩქარეს და გაადვილეს ორ-კლასიან სასწავლებელთა დაარსების საქმე, და აგრეთვე ის გარემოებაც, რომ განზრახულ ადგილებს ახლო სახელმწიფო ტყე და მიწები იმყოფება თუ არა;

4) დაახლოებით რა უნდა დაჯდეს მოსწავლის შენახვა, ადგილობრივ პირობათა მიხედვით, ორ-კლასიან სასწავლებლის საზოგადო სამეფოშელში;

5) მაზრის რომელს დაბასა და სოფელში აუფრო მეტად საჭირო, რომ საეკლესიო-სამრევლო და წერა-კითხვის სასწავლებლები იქმნას დაარსებული და, დაახლოებით, რამდენი დასჭირდება ამ საქმეს. საფიქრებელია, რომ სასარგებლოა სასწავლებლების დაარსება დაწყებულ იქმნას მაზრის უფრო დასნეულებულ ადგილებიდან, სადაც ხალხში მწვალებლობას გაუდგამს ფესვი, ადგილ მამული მწირი და ტოტაა, სასმელების დუქნები მრავლად მოიპოვება და სხ.

რადესაც ყოველ განყოფილებიდან მიღებული იქნება ბასუხი ამა საკითხვებისა, საეპარქიო სამოსწავლო საბჭომ, მოიწვევს რა, თქვენი უსამღვდელოესობის ნება-რთვით, შეძლებისამებრ, სამაზრო განყოფილებათა თავმჯდომარეებს და, საჭიროებისამებრ, სასწავლებლის საქმის მცოდნე და მასთან დაახლოებულთ პირთ, უნდა განსაჯოს სამაზრო განყოფილებათა დადგენილებანი და შემდეგ თავისის აზრითურთ, თქვენის უსამღვდელოესობის გურთხევით, წარმოუგზავნოს უწმიდესს სინოდთან დაარსებულს სამოსწავლო საბჭოს, ვითარცა მასალა საჭირო იმ ღონისძიებათა ეოველ მხრივ განსაჯავად, რომელიც ხმარებულ უნდა იქნას, რომ განხორციელდეს სახელმწიფოს აზრი, ამა 1895 წლის 5 იანვისს უმაღლესად დამტკიცებული.

ამ შემთხვევაში საეპარქიო სამოსწავლო საბჭოს შეუძლიან ადრევე განსაჯოს სასწავლებელთა მერმისის 1896 წლის უფრო შესაძენელი საჭიროებანი, სამაზრო განყოფილებათა მოსაზრებაში ალნიშნულნი, და განსაკუთრებულის წინ-დახედულობით ალრიცხოს, სულ ტოტა, რამდენი დახმარება იქნება საჭირო ფულად უწმიდესის სინოდისაგან: 1) მასწავლებელთა ჯამაგირად; 2) კლასს გარეშე საკითხავ წიგნებისა და სახელმძღვანელოების მოსაპოვებლად; 3; სასწავლებლის შენობათა ასაგებად და შესაკეთებლად. ამითი, რასაკვირველია, საეკლესიო-სამრევლო სასწავლებლის საქმეს დიდს სარგებლობას მოუტანს.

სასურველია, რომ ბასუხი ზემოხსენებულ საკითხვებისა უწმიდესს სინოდთან დაარსებულ სამოსწავლო საბჭოს ამა მდინარე წლის ნოემბრის ბოლოს რიცხვზედ შეგვიანეს არ მოუვიდეს.

ეჭვი არ არის, რომ თქვენი უსამღვდელოესობა თავისს განათლებულს მონაწილეობას მიიღებს იმ ბირთა დასახლებასა და არჩევანში, რომელნიც, მონაწილეობას მიიღებენ რა საეპარქიო საბჭოთა და ამით განყოფილებათა შრომაში, აქა წინანდებულ საკითხვების განხილვის შემდეგ, შეიძლებენ და საერთო ღონით ჯეროვანად დაეგმაყოფილებენ საერო განათლების ეოველ შესანიშნავ საქმ-ს არსებობითს, თვით ცხოვრებისაგან წინ წამოყენებულს საჭიროებათ. მხოლოდ მაშინ შეიძლება მტკიცედ და წესიერად წარიმართოს ჩვენი პირველ დაწყებითი სასწავლებელი და ის განვითარება და მიმართულება მიეცეს, რომელიც შეეფერება რეგორც მართლ-მადიდებელ ეკლესიის სწავლა-მოძღვრებას, ისე ერის ცხოვრების მოთხოვნილებასა და ჩვენს ისტორიულს წარსულს, რომელსაც ცხოველს მონაწილეობას მიიღებენ სასწავლებლის საქმეში მოღვაწენი და მასნი მოსიყვარულენი.

მოვიწოდებ რა მწყემსთ-მთავრულსა ლოცვა-კურთხევასა თქვენსა, სრულს პატივისცემასა და ერთგულებასა შინა დავჩეები

თქვენის ყოვლადუსამღვდელოესობის, მოწყალე მწყემსთ-მთავრის

უმორჩილესი მონა კ. პობედონოსცევი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲛᲬᲧᲔᲛᲘᲡᲘ

მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდგის ცხოვართათვის. (იოან. 10—11).

ვპოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. ესრეთ იყოს სისარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. (ლუკ. 15—4).

მოგვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თქვენ. (მათ. 11 28).

№ 17 ᲓᲐ 18 1883—1895 1—30 სექტემბერს

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ. ოფიციალური ნაწილი: უწმიდესის სინოდის ობერ-პროკურორის მოწერილობა.

არა ოფიციალური ნაწილი: საეკლესიო სამრევლო სკოლები.—პანაშვიდი კრწანისის ველზედ სამშობლოსათვის დახოცილ მეომართა სულის მოსახსენებლად.—ბ-ნი იონა მეუნარგია და მისი დიპლომატია.—საქართველოს ძველი დროის თავგადასავალი. (ლექსად).—ახალი ამბები და შენიშვნები.

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილმსნეობაზე: წმიდანი მთავარ მოწამენი დავით და კონსტანტინე და მოწამეთის მონასტერი იმერეთში.

საეკლესიო-სამრევლო სკოლები.

საეკლესიო-სამრევლო სკოლების რიცხვი ჩვენში დღითი-დღე მატულობს და მათი ნივთიერი მდგომარეობაც თან-და-თან უმჯობესდება. ხელმწიფე იმპერატორი, მსგავსად თავისი ღვთივ განსვენებულის მშობლისა, მოწადინებულია გააუმჯობესოს სამრევლო სკოლების ნივთიერი მდგომარეობა და ამიტომ ყოველ წლობით უმალლესად ნაბრძანებია გადადებულ იქმნეს სამრევლო სკოლების შესანახავად საბინახეავრ მილიონზე მეტი მანეთი, რათა უმჯობესად მოეწყოს სამრევლო სკოლებში სწავლების საქმე და ჯეროვანად მომზადდენ მასწავლებლები ამ სკოლებისათვის და რიგიანი ყურადღება მიექცეს მათ.

საჭირო არ არის აღვნიშნოთ, თუ რა სიხარულით ეგებება საზოგადოდ რუსეთის მართლ-მადიდებელი ხალხი და კერძოდ ქართველობა ამ სკოლების დაარსებას, სადაც ძველი დროიდანვე წერა-კითხვას სწავლობდა მართლ-მადიდებელი ერი.

თუ ჩვენი სამრევლო სკოლები, რომელნიც წინეთ ნივთიერის მხრით ძლიერ ცუდ მდგომარეობაში იყვნენ საერო სკოლებთან შედარებით, მრავლდებოდნენ, ეხლა, როცა ამ სკოლებისათვის ყოველ წლობით სამ მილიონ მანათზე მეტია დახარჯული, მათი რიცხვი ერთი ათად იმატებს და მათში უკეთესად მოეწყობა ჩვენი ხალხის სწავლა-განათლების საქმე. ეს სკოლები დაიფარვენ მართლ-მადიდებელ ხალხს სხვა-და-სხვა მავნებელ სწავლა-მოძღვრებათაგან და

განამტკიცებენ მოზარდ თაობის გულში სიყვარულს ღვთის ტაძრისა და ღვთის მსახურებისადმი და მიაჩვევენ ყმაწვილებს პატიოსანს შრომას.

საეკლესიო-სამრევლო სკოლების მიზანი მშვენიერი, დიდი და ღრმაა და შეხამებულია ხალხის სულიერ მოთხოვნილებასთან. ამ ბოლოს, ღვთის მადლით, როგორც იქნა, გამონახეს ჭეშმარიტი გზა, რომელ გზაზე მსვლელობაც მიანიჭებს ჩვენს ხალხს ჭეშმარიტ კეთილდღეობას და ბედნიერებას. და ყოველივე ამაებისათვის უნდა ემადლობდეთ უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორს კონსტანტინე პეტრესძეს პობედონოსცევს, რომელიც დამაარსებელი და მომწყობია სამრევლო სკოლებისა, რომელთა დასაარსებლად და შესანახავად დიდი შრომა და გამჭრიახობა დაჭირდა მასს. მაგრამ დღეს კი სწორედ ჯეროვან საფუძველზე დაამყარა ისინი. ეს სკოლები დღეიდგან მათი იმპერატორებითი უდიდებულესობის მფარველობის ქვეშ იმყოფებიან. დღეიდგან სამრევლო სკოლები ღრმად მოიდგამენ ფეხს ხალხის გულში, განამტკიცებენ და აღორძინებენ ხალხში კეთილცხოვრებას, ანდესილს მართლ-მადიდებელი სარწმუნოებით. ამ სახით რუსეთის სახელმწიფოს მკვიდრთა საკეთილდღეოდ სამრევლო სკოლების სახით ამოანათა ცისკარმა ახალი ცხოვრებისა, საიმედო ბედნიერებისა და კეთილ დღეობისამ,—ცისკარმა, რომელიც მომასწავებელია სამუდამო კეთილცხოვრებისა და ჭეშმარიტებისა. სარწმუნოება, სიყვარული ეკკლესიისა და ღვთის მსახურებისადმი—როგორც ჭეშმარიტი დასაწყისი ხალხის განათლებისა, უეჭველია, ყველგან ერთსა და იგივე კეთილ ნაყოფს გამოიღებს; მაგრამ ჩვენის აზრით, საჭიროა დიდი სიფრთხილით მოექცნენ მთელი იმპერიის სხვა და სხვა თემის ხალხთა, რომ საეკლესიო სკოლებმა სასურველი მიზანს მიაღწიონ. ჩვენ აქეთ ის გვინდა ვთქვათ, რომ ჭეშმარიტის სარწმუნოებია სწავლება და აღზრდა მოწაფეთა ნორჩ გულსა და გონებაში სარწმუნოებრივ და ზნეობრივ გრძნობათა თავდა-პირველად უნდა სწარმოებდეს იმ ენაზე, რომელიც ყმაწვილს დედის რძესთან ერთად აქვს შეხორცებული და რომელზედაც ყმაწვილი დედის ხელშივე წარმოთქვამს ლოცვის სიტყვებს და სხვა სარწმუნოებრივ გრძნობათა. უამისოდ მოზარდ ყმაწვილებში ჭეშმარიტი სარწმუნოების მაგიერ დავბადებთ სარწმუნოებისადმი გულგრილობას.

დეკ. დ. ღამბაშიძე.

პანაშვიდი კრწანისის ველზედ სამშობლოსათვის დახოცილ მეომართა სულის მოსახსენებლად.

11 სექტემბერს, დილის 9 საათზედ გარდახდილ იქმნა ლიტურგია ბერძენთა წმ. ნიკოლოზის ეკკლესიაში კრწანისის ველზედ აღა-მაჰმად-ხანის ურიცხვ ჯართან ბრძოლაში სამშობლოსათვის თავდადებულ ქართველ მეომართა სულის მოსახსენებლად. მწირველი იყო ეპისკოპოსი ალექსანდრე და სამღვდელოება. წირვას დესწრნენ მრავალნი ქართველნი წარჩინებულნი პირნი, დეპუტატები ფშავ-ხევსურთაგან გამოგზავნილი რკინის ჯაჭვ-ჩაჩქანით გამოწყობილნი, ქართველი მწერლები და სხვანი. წირვაზედ გალობდა ქართველ თავად-აზნაურთა სკოლის გუნდი, ქართული გუნდი ტფილისის სასულიერო სემინარიისა და გუნდი ექსარხოსისა. მრავალ ხალხს მოეყარა დილიდგანვე თავი ეკკლესიის გალავანსა და მის გარშემო. ეკლესიის წინ, ქუჩაში, იდგნენ რიგზედ ჩამწკრივებულნი ტფილისის ამქრების წარმომადგენელნი ბაირაღებით, რომლებიც რიცხვით 34-დე იყო.

თორმეტ საათზე წირვა გათავდა და ამქრები თავისის ბაირაღებით, ხალხი საეკკლესიო დროშებითა და აგრეთვე მღვდლები ხატებითა წინ წაემძღვარნენ.

პანაშვიდის გადასახდელად დანიშნული ადგილი მდებარეობს მარკოზოვის ბაღის ზევით დაცემულ ვაკეზედ, რომელსაც დასავლეთ-სამხრეთ გორები საზღვრავს. ამ ადგილას იყო დადგმული დიდი, ასე ხუთმეტის საჟენის მანძილზედ, კარავი, რომელიც მწვანითა, ყვავილებით და სამგლოვიარო ლენტებით იყო შემკული.

პანაშვიდი გადახდეს; გაისმა ქართველ მგალობელთა ტკბილი და მოწყენილი «საუკუნოდ იყოს ხსენება მათი» იმ ადგილს, სადაც ამ ასის წლის წინად თავგანწირვით იბრძოდნენ ჩვენნი წინაპარნი მოხუცის გმირთა-გმირის მეფის ერეკლეს მეთაურობით.

პანაშვიდის შემდეგ არქიმანდრიტმა ლეონიდმა წარმოსთქვა მშვენიერი სიტყვა, რომელსაც დავბეჭდავთ შემდეგ ნომერში.

ასე გათავდა მთელი საქართველოსათვის სამწუხაროდ მოსაგონი აღა-მაჰმად ხანთან უკანასკნელ ომში დახოცილ ქართველ მეომართა ასი წლის სულის მოხსენების საქმე. დიდ ძალი ხალხი მივიდა დანიშნულს ადგილს და პანაშვიდი გარდახადა მართლ-

ბადიდებელ მეომართა. კარგი და კეთილი; ღმერთმა ინებოს, რომ ჩვენს ხალხს და ჩვენ მეთაურ პირებს შეეგნოსთ ჩვენი წარსული დროის მომქმედ პირთა მამულისა და სარწმუნოებისათვის თავ-დადება და მიებაძოსთ მათი კეთილი საქმისათვის და უარ ეყოსთ ძველი თაობის ცუდი ქცევა და ზნე-ჩვეულება. არ შეგვიძლია აქვე არ აღვნიშნოთ ზოგიერთების ახირებული დაჯინება, ვითომც იმერეთია ჯარს მონაწილეობა არ მიეღოს ერეკლეს ჯართან ერთად ალა-მალომეტ ხანის წინააღმდეგ. ასეთი ცილის წამება ბეჭედითი სიტყვით გამოსთქვა იმერეთის მეომართა შესახებ ბ. იონა მეუნარგიამ, რომლის ცილის წამების გასაქარწყლებლად მშვენიერი პასუხი გასცა ბ. აკაკიმ გაზეთ «კავალში.» ამ ასი წლის წინად მამულისა და სარწმუნოებისათვის დახოცილ მეომართა მოგონებამ ჩვენ ცხადათ დაგვმტკიცა, რომ საქართველოს იმ დროს ბლომად ჰყოლებია მოღალატენი, მაგრამ სამწუხარო და სავალალო ის არის, რომ ასეთი პირები და სიმონ-იონები დღესაც საკმაო ბლომად მოიპოვებიან ჩვენში...

საჭიროდ ვრაცხთ აქვე მოვიყვანოთ ისტორიული ცნობები ალა-მალომეტ ხანის და მისი საქართველოში შემოსევის შესახებ, რომელიც მ—ე ჯანაშვილმა დასტამბა «ივერიაში». აი ეს ცნობები:

ქარიმ ყაენის შემდეგ სპარსეთში დიდი არეულობა მოხდა. ეს არეულობა დასრულდა მხოლოდ 1791 წელს, როდესაც ალა-მაჰმად ხან ყაჯარმა, 80 წლის ხადუმმა, სპარსეთის ტახტი დაიჭირა. ამ ყაენმა შეჰკრიბა 100,000 მეომარი, თოფხანა ფრანგებს ჩააბარა და აღირბეჟანის ხანებსა და ერეკლე მეფეს შემოუთვალა დამემორჩილენით, ხარკი და მზეველები გამომიგზავნეთო. ყაენს ჰსურდა ხანები და ერეკლე მეფე ერთად შეეყარა და მათ წინაშე საყენო გვირგვინი დაედგა თავის თავზედ. ზოგი ხანი შიშით დამორჩილდა მას, ზოგმა უარი შეუთვალა, უარი შეუთვალეს აგრეთვე შუშისა და ერევნის ხანებმა, რომელნიც ერეკლეს მოხარკენი იყვნენ (პირველი ყოველ წლიე იხდიდა 120,000 მან., ხოლო მეორე—200,000). განჯის ხანი ჯავათი, თუმცა მოხარკე იყო ერეკლესი და ყოველ წლიე იხდიდა 50,000 მან., განუდგა მეფეს და ყაენს მიემხრო. ერეკლემაც უკუაგდო ყაენის შემოთვლილი. ყაენმა 8,000 მეომარი გამოუსია ერევანს, მაგრამ ეს ჯარი შემუსრა ალექსანდრე ერეკლეს ძემ და განაბნია.

ალა-მაჰმად-ხანი სწრაფის სიარულით მიადგა შუშის ციხეს, მაგრამ იგი ფრიად გამაგრებული იყო და ამიტომ ყაენი აიყარა და განჯით ტფილისზედ გამოეშურა 70,000 მხედრობით.

ყოველივე ეს ისე სწრაფად და მოულოდნელად მოხდა, რომ ერეკლემ ვერ მოასწრო თავისის მხედრობის შემოკრება. ამ დროს ერეკლეს კაი ძალი ლაშქარი ჰყავდა, თვით ერეკლეს წერილიდგან ჰსჩანს, რომ 14 ივნ. 1795 წელს მარტო თუშ-ფშავ-ხევსურეთში უნდა შემოკრებულიყო 40.000 მეომარი. თეიმურაზ ბატონიშვილის მოწმობით, ალა-მაჰმად-ხანის საბრძოლველად ყოველ ბატონიშვილს თავის საუფლისწულოდან უნდა მოეყვანა 10,000 მეომარი. მაგრამ ეს ჯარი ვერ შემოიკრიბა დროიანად, ყაენი 10 ვნკენისთვეს 1795 წელს კრწანისის მხრით ტფილისს მოადგა. მაგრამ ამის შემდეგ თუ რა მოხდა, ამის შესახებ სიტყვა დავუთმოთ თანამედროვეს—ბატონიშვილს თეიმურაზს [1]), ერეკლეს განუყრელს თანამხლებელს, შემდეგში ბროსეს მასწავლებელს და წერს სამეცნიერო აკადემიასას.

»...დღესა ორშაბათსა, ათსა რიცხვსა სექტემბრისასა (1795 წ.) ბრძოლა უყო მეფის ძემან დავით მეწინავეთა ალა მაჰმადისათა ველსა ზედა კრწანისისა მეწინავეთა თვისითა მხედრობითა და ჰყვეცა თვისთანა იმერთა მხედარნი მცირეოდენიცა. და იმყოფებოდა მუნვე იმერეთის მხედართ-მთავარი სახლ-ხუცესი წერეთელი ზურაბ, და სარდალი მემარჯვენე ქართლისა ჯარისა ამილახვარი ოთარი, იოანე მუხრანის ბატონი თავადი მემარცხენე სარდარი, ქიზიყის მოურავი და თავადი ზაქარია ანდრონიკას შვილი. ფრიად მხნედ ბრძოდეს სპარსთა მეწინავეთა და აოტნეს იგინი და მრავალნი სპარსნი მოსრნეს მას დღესა შინა.

ხოლო დღესა სამშაბათსა ია რიცხვსა ენკენისთვისასა განვიდა თვით მეფე ყოველითა მხედრობითა

[1]) თეიმურაზის მემუარები ამ ბრძოლის შესახებ იხ. Chronidue Feorgienne-ში (ბროსეს 1833 წლის გამოცემა პარიუში) და იგივე სიტყვა-სიტყვით 1890 წლის „ივერიის" №№-ებში: 51, 52, 53, 54 55, 56. არტემ არარატელის მოთხრობა შესახებ ტფილისის აოხრებისა და ერეკლეს უნუგეშო მდგომარეობისა შემდეგ ქალაქის დაპყრობისა, მოგონილ თხუზულებად აღმოჩნდა. (იხ. „ნოვოე ობოზრენიე" 1892 წლ.)

თვისითა (7,000-მდე კაცითა) ბრძოლად სპარსთა. და დაადგინა მხედრობანი თვისნი დასასრულსა სეიდაბადის ბალისა და განჰყო იგინი ხუთ ნაწილად:

ა) «მარჯვენასა მხარესა დაადგინა შვილის-შვილი თვისი დავით, რომელიცა ზემოთ გზით ტფილისიდამ შემოვალს და გზასა მას შეეყრებიან გზანი სოლოლაკისა და ტაბახმელისანი და ეგრეთვე სეიდ-აბადსაცა საშუალცა გარდმოვლის ყორჩაშვილის კერძო მიყოლით გზად იწრო და შეეყრების იგიცა ქვემოსა გზასა ტფილისისასა. ხოლო შუათა ამათ გზათა დაადგილთა მიდამონი ყოველნიერ კლდიერნი, მთიურნი და იწრონი არიან. დასდგა მუნ პირისპირ მტერთა დავით და დასცენა ყოველნიერ გზანი კანონიერად. და აქედა თვისთანა ნაწილცა არტილერიისა—ექვსი საშუალო და წვრილნი ცეცხლ-სასროლნი ზარბაზანნი.

„ბ) მეწინავედ განაწესა მხედრობანი რჩეულნი, რომელთაცა მძლეველად ჰყო შვილის-შვილი თვისი იოანე. მარცხენა კერძი მისცა იოანე მუხრანის ბატონსა.

„გ და დ) კვალად ქმნა ორნი სხვანი გუნდნი და დაადგინა მხედართ-მძღვანად ერისა მეფეს ძე ვახტანგ. მეორეჲ მისცა მძღვანელობასა ქვეშე ამილახვრის ოთარისა. და დაადგინა იგინი მახლობელ თვისსა, რათა რომელსაცა კერძსა საჭირო იყოს ბრძოლასა შინა, მიაშველოს მუნ იგინი.

„ე) ხოლო იმერთა მხედრობანი იყვნეს მძღვანელობასა ქვეშე ზურაბ წერეთლისასა. დასდგის იგინი მარჯვენით კერძო მეფისა.

«ყოველთა მხედრობათა მეფისათა იყვნეს ქვეითნიცა და ცხენოსანნიც, დაწესებულ კანონიერად თვის-თვისთა მძღვანთა ხელისა ქვეშე.

მაშინ უბრძანა მეფემან, რათა მეწინავენი იგი მხედრობანი განვიდნენ ხევსა მას, სადაცა სდგა მეფე მახლობელ მისსა მყოფსა. და მყისვე მძღვანებითა მეფის ძის იოანესითა განვიდა მხედრობა ველსა ზედა კრწანისისასა, ხოლო მარცხენით კერძო ხევისა მის პირისა, სადათცა ძისწედებოდა ტყეი ზარბაზნისა მტერთა, დაადგინა მუნ არტილერია, და მსუბუქნი ზარბაზანნი იყვნეს ყოველთა შორის მწყობრთა.

«ეგრეთვე ბეორესა მხარესა მტერთა მხედრობანი განაწყენა ალა-მაჰმად-ხანმან, რომელნიცა ადგილნი გამოურჩია მათ სარგებლად და დაადგინა მათზედ ათოთხმეტნი სხვანი და სხვანი დიდ-დიდნი მწყობრნი, რომელთა შორის აქვნდეს ზარბაზანნი და ზამბურაკნი ჯამაონი.

„ალმოვიდეს მაღალთა ზედა გორათა სოღალუხისა, ყაებათისა, თელეთისა, კრწანისისა და გარემოთა მისთასა მხედრობანი სპარსთანი და მომართეს მხედართა ქართველთასა. მაშინ მოიკონა ლონე საკვირველი ალა-მაჰმად-ხანმან: ჰყვეს მას მარადის თავისთანა განუშორებლად მხედარნი შინაგანთაგან თურქმანთა, ნომიზდულნი კაცნი ექვსი ათასნი, რომელნიცა არა ეგრეთ მოყვარე არიან სპარსთა და არცა სპარსნი მათნი არრიან მოყვარენი, არამედ სძულთ მათ ფრიად ურთი-ერთი... (ამათ დავალაო ყაენმა დახოცვა მათი, რომელნიც ბრძოლის ველს გამოექცევიანო).

„იწყეს ბრძოლა დილასა და შუალამიდგან მეშვიდესა ჟამსა და ბრძოდეს მეწინავენი მხედარნი მეფისანი საკვირველად. მაშინ მიაშველნა მეფემან კვალად ძე თვისი ვახტანგ მეწინავეთა მხედრობათა და სხვათაგანცა გუნდთა აღმორჩეული მებრძოლნი, შეუხდეს სპარსთა მხედრობასა მაღალთა მათ ლაკიერთა გორათა და მთათა ზედა და ბრძოდეს მათ ესრეთითა სიმხნითა, რომელ კნინლადა მისდრინკნეს მხედრობანი სპარსთანი სივლტოლად,

კვალად მცხოვრებთაგან ტფილისისათა გამორჩეულ იქმნეს კაცნი მამაცნი და მარჯვენი, რომელთაც აღირჩიეს წინამძღოლად თვისად კაცი ეინმე მსახიობი, რომელსა საზანდრად უხმობენ. ეს იყო ერთი წარჩინებულთა მესაკრავეთა და მსახიობთაგან მეფისათა, მუსიკი და კომედიანტი. და ეს იყო უფრო სი მსახიობთა და ცნობილი, იყო გვარეულობითა და სარწმუნოებითაცა ქართველი, რომელსაცა სახელსდებენ მაჩაბელად. ესე მიუძღვა გუნდსა ტფილისელთასა მტერთა მიმართ, და ეპყრა ხელთა ძისთა ბარბითი, ე. ი. დაირა და უკრავდა მას ზედა შადიანსა. ე. ი. ხმასა მას, რომელსა ლხინსა შინა დაუკვრენ, ჟამსა შინა უმეტეს სიხარულისასა, ვინაიდგან ხმაჲ ესე განამხიარულებს მსმენელთა. ბრძოლანი ესე იყვნეს მკვირცხლნი და მიმართეს ქვეითთა ამათ და ბრძოდეს მტერთა ფეხელად. და შველოდა გუნდსა მას ფშავ-ხევსურთა, არაგველთა და ქიზიყელთასა. და ჰყვეს მათ ატაკა მტერთა მიმართ და მიიწევნეს ვიდრე დროშებამდე ალა-მაჰმად ხანისა და მოსტაცნეს დროშანი რაოდენნიმე მხედართა ალა-მაჰმად-ხანისათა და მრავალნი სპარსთაგანნი მოწყვეტნეს წინაშე მისსა. იხილარა ალა-მაჰმად-ხანმან სიმხნე ესე ეითარი ქართველთა მხედრობისა, განუკვირდა ფრიად და იტყოდა: „სიყ

რმითაგან ჩემით, ვიდრე აქამამდე, დამიყოფიეს ბრძოლასა შინა და არასადა მიხილავს მე წინაალმდეგნი, ვითარ ეს კაცნი ჩემდა მიმართ ჰყოფენ ბრძოლასა“.

ამათ ყაჯარმა შემოახვია დასვენებული ურიცხვი ჯარი. ესენი ებრძოდენ სიმხნითა უალმატებულესითა, გასწირნეს თავნი თვისნი და მეწირნეს მხევრპლად საყვარელისა მამულისა და წინაშე მეფისა თვისისა სახელოვნად დასთხიეს სისხლნი თვისნი.

იხილა-რა მეფემან სიძნელეი ესე ბრძოლისა, რაოდენცა ძალედვა დაჰყვეს მხედარნი, მიაშველნა, უმრავლესნი და კნინლი სრულიად მოსწყინდებოდეს და მცირეოდენი ღა განერინის. გაგრძელდა ბრძოლაჲ ესე დილისა დაწყებიდგან შვიდის ჟამით ვიდრე საღამოს მეხუთის ჟამამდე. თუმცა-ღა მეფესა კვალად არა ნებავდა უკუნ ქცევაჲ, არამედ მახლობელთა მისთა მოახსენეს რჩევით, რათამცა მოარიდოს მეფემან თავი თვისი სიკვდილსა და განსაცდელსა. ეტყოდეს მეფესა: «უწყის ყოველმან სკიპტრისა თქვენისა ქვეშ მყოფმან სიმხნე და გულოვნება თქვენი და რომელ არა რიდებით თავსა თქვენსა სიკვდილსა ერისათვის შენისა და მსხვერპლი ექმნები მამულსა საყვარელსა, მაგრამ თუ სადმე გეწიოს შენ ძვირი ანუ ბოროტი რაჲმე, უმეტეს განლაღდნენ მტერნი და უყოფენ ძვირსა ქვეყანასა ჩვენსა». თუმცა-ღა მოახსენებდეს მეფესა ესრეთ, გარნა კვალად იმყოფებობდა მუნვე.

ხოლო მხარესა მას, რომელსაცა სდგა მეფის ძე დავით, ოდეს იგი იბრძოდეს სპარსნი და ქართველნი ურთიერთსა, აღა-მაჰმად-ხანმან მიგზავნა მას ზედა მხედრობა ცხენოსანნი სამი-ათასი რჩეულნი მებრძოლნი, არამედ ჰსძლო მათ მეფის ძემან დავით და იოტნა იგინი ვიდრე მხედრობამდე სპარსთა. და თვით ეკრეევ სცვიდა მითვალულსა მისსა მხარესა. მაშინ სპარსთა შეუკრეს გზანი უკანიო კერძო მეფის ძეთა ვახტანგ და იოანეს რათამცა შეიპყრან იგინი. მაგრამ სიბრძნითა თვისითა განაპნეს მათ მხედრობანი მტერთანი და ესრეთ მოვიდეს მეფისა მიმართ დაშთომილითა მათისა მხედარითა, რომელთაცა მოეწყვიდნენ მრავალნი სპარსთაგანნი და თვით მეფის ძენიცა განბასრულ იყვნენ სრულიად სისხლსა შინა. მაშინ მოეახლნენ სპარსნი, სადა იგი იყოფოდა მეფე და მომართეს ალმატებულითა ძლიერებითა და კნინლადა მოჰკლიდეს მეფესა ანუ შეიპყრობდეს, უკეთუ შკილის-შვილი ამ მეფისა იოანნე არა იყომცა მუნ. ეკვეთა მეფის ძე იოანე მახლობელ პაპისა მისისა მოსულთა სპარსთა და უკუნ აქცევნა და განარინა ხელთაგან მათთა მეფეჲ. ვითარმცა იხილა აღა-მაჰმადხანმან უკუნქცევა მეფისა, მოუწოდა მყისვე სხვათა ჯართა შესვენებულთა თვისა მხედრობათა და მიმართა მეფესა და შეუდგა უკანა დიდისა ძლიერებითა და თუმცა ტფილისის ციხით ჰსცემდეს ზარბაზნებითა მხედრობასა სპარსისა, ვინაიდგან აღალუა ვინმე უფროსთაგან ტფილისის ციხისა ფრიად მხნედ იყო მას ჟამსა შინა და ზევითგან მაღალთა მათ მთათა კლდიერთა ზედა მდგომრისა ტფილისის ციხეთ სეიდაბადს გარდმოსავალთა გზათა ზედა ესროდა სპარსთა, რათა ვერა უძლონ შემოსვლა ტფილისს, და მრავალნი სპარსნი აღწყვიტეს, არამედ შემოვიდეს ტფილისსა შინა, რომელიცა ყოვლითურთ განუმაგრებელ იყო. არცა იყვნეს მხედრობანი მას შინა, არცა მოქალაქეთა ერნი სრულიად ქალაქისა მის. და ოდეს შემოვიდა მხედრობა სპარსთა ქალაქად, მეფე განვიდა ქალაქს ხიდსა ზედა ავლაბრისასა და განემგზავრა არაგვისა კერძოსა.

მოსწყდეს მის ბრძოლასა შინა სპარსნი უმეტესი ოთასთა, *) ხოლო მხედრობისაგან მეფისათა მცირეოდენ-ღა დაეტევნეს. ხოლო თავადთაგან მეფისათა მოსწყდეს თავადი აბაშიძე იოანე, ძე ნიკოლოზ იანბეგისა, რომელიცა იყო მახლობელი ნათესავი მეფისა ირაკლისა დედისა კერძოთი. თავადი გურამიშვილი გიორგი ქუმელად სახელდებული და ესე იყო ერთი უპირველესი მოხელეთაგანი არტილერიისა და მეცნიერი არტილერიისა ხელოვნობასა. მოიკლა მუნვე გაპრიელ მაიორი არტილერიისა, კაცი ფრიად მხნე და განსწავლული. ესენი ფრიად საყვარელ და პატივცემულ იყვნეს მეფისა. ესენი ყოვლითა მოზარბაზნეებითა თვისთა მოსწყდეს ერთობრივ ზარბაზანთა თვისთა თანა კვალად მოსწყდეს სხვანიცა ჩინებულთაგანიცა, კაცნი მხნენი. გარდა მებრძოლთაგანნი ეგეოდენნი მოსწყდეს, რომელ ოდეს განვიდა ტფილისით მეფეჲ, გაჰყვეს უკვე მხოლოდ კაცნი ვითარ ას-ორმოცდა-ათნი და უმრავლესნი მათნი იყვნეს დაკოდილნი. ხოლო ოდეს განვიდა მეფე ტფილისითა, განუტევა მეფე იმერეთისა სოლომონ სამეფოდ თვისად. იბრძეს მხედრობათაცა მისთა მტერთა მიმართ სახელოვანად. არამედ უკანასკნელი, ოდეს იგი მეფე სოლომონ წარემართა გზასა თვისსა მაშინ უკნობად მისსა განე-

*) და სულ-კი 13,000 სპარსთა მხედარი მოკლულ იქმნა ქართველთა ჯარისა და მოქალაქეთაგან.

ეფნეს მის მხედრობისაგან კაცნი რაოდენნიმე; ჰგონებდა ჭირარე წარსულასა მათსა, გარნა დაადგრენ იგინი ადგილსა დაფარულსა უკანით და ოდეს განეშორა მათ მეფეჲ, იწყეს მათ აეაზაკებრივ მოქმედებაჲ.

მეფის ძე დავით გუნდითა თვისითა ჰსდგა მასვე ადგილსა ვიდრე მცხლობლად ქამადმდე მწუხრისა და რავდენ გზისცა მივიდეს მას ზედა სპარსნი-მარადის სძლია მათ და უკუნაქცევნა, ხოლო იხილა-რა, რომელ აღიესო ტფილი.ი მხედრობითა სპარსითა და მეფეცა განვიდა ტფილისით, მაშინ იძულებულ იქმნა იგიცა მიქცეულად მთითა მათ კლდიერთა და იწროთა გორათა და დამალნა ზარბაზანნი იგი, რომელნიცა აქვნდა ხევსა შინა საგუბრისასა, ვინაიდგან შეუძლებელ იყო განელად ურემთა გზათა მათგან... და ესრედ განარინნა ზარბაზანნი იგი და არა მისცნა ხელთა შინა მტერთა და ეგრეთ იწროთა გზით განვიდა და განეშორა მტერთა და ღღესა მესაძესა მივიდა არაგვსა ზედა მთიულეთს პაპასა თვისსა თანა ირაკლის და იყოფოდა მეფისა თანა განუშორებლად ვიდრე მიქცევამდე აღა-მაჰმად-ხანისა.

მეფე ერეკლე, თვიმურაზის თქმით იდგა კაიშაურთ კარს. მასთან იყო მისი სახლობა და დიდი მხედრობა. ბატონიშვილები გიორგი და იულონ ქიზიყსა და ქართლში აგროვებდნენ დიდძალს ჯარს, რადგან მეფე ემზადებოდა შებმოდა მტერს, თუ იგი არ დაუბრუნებდა ტყვეებს და არ აუნაზღაურებდა ზარალს, ტფილისის აოხრებისა გამო. მეფე ერეკლემ აღა-მაჰმად-ხანს გამოუგზავნა დესპანად კენკია ავალიშვილი და ითხოვა ზავი და ტყვეთა დაბრუნება. აღა-მახმად-ხანს ძლიერ იამა, დიდად დაასაჩუქრა დესპანი და აღუთქვა მეფეს მოთხოვნილის აღსრულება, ხოლო ითხოვა მზეველად ერთი მეფის ძეთაგანი და ანუ შვილის-შვილთაგანი. ერეკლემ მზეველად ამოირჩია ბატონიშვილი დავითი. მაგრამ ეს ზავი ჩაიშალა განჯის ხანს ჯავთის ომრაგობით. ამან შეატყობინა ყვენს, რომ ერეკლეს დიდძალი ჯარი მოუგროვებია და აპირებს მოულოდნელად თავს დაგეესხას და ამოგვწყვეტოსო. აღა-მახმად-ხანი მაშინათვე აიყარა და მსწრაფლის სიარულით განიელტო და წავიდა სპარსეთს. იგი იქვე მოკლულ იქმნა ღალატით. მას თავი მოჰკვეთეს მისმავე ხელის მოსამსახურეებმა და ეს მოკვეთილი თავი წაიღეს ჭარს. ჭარელებმა ყვენის თავი მიაბარეს მიწას. ყვენის გაქცევის შემდეგ ერეკლემ გამოგზავნა ტფილისის ბატონიშვილები ქალაქის ასაშენებლად. ხოლო თვითონ წავიდა განჯას, დაიპყრო იგი და ისევ ძველანდებურად დახარკა ჯავათ ხანი.»

ბ-ნი იონა მეუნარგია და მისი დიპლომატია.

ამ დღეებში ერთმა რუსულმა გაზეთმა დასტამბა ცნობილი ბ. იონა მეუნარგიას სტატია. ეს არის დიპლომატიური ნოტა, ანუ დისსერტაცია საუმაღლესოთ უმდაბლესათ დაწერილი... სახვეწარი. ავტორი რჩევას გვაძლევს, რომ ბედნიერი დღეები სხვა და სხვა საქართველოს კუთხეების რუსეთთან შეერთების ჯერისაებრ ვიდღესასწაულოთ. კეთილი და პატიოსანი! ეს მოგონება ყველასათვის საგულისხმოა და მისთანა მკითხველი არ იქნება, რომ ეს კრიმანჭული ვერ გაიგოს და გულში არ თქვას: ჰაი გიდი, იონაო! და ჩვენც მეტი არა გვეთქმის რა, მაგრამ რაც შეეხება მის სტატიის მეორე მხარეს, იმას კი ვერ დავტოვებთ უყურადღებოთ. ბ. იონა (ჩვენი იონა და არა ებრაელთა წინასწარმეტყველი) სპარსების შამოსევას და თბილისის აოხრებას საკუთრათ იმერლების მტრობა-ღალატს აწერს და ამბობს: ამითი საშვილიშვილო ჩირქი მოიცხეს იმერლებმა, ქართლელებს ვედარ შეურიგდებიან, შკოლაში ქართლელი უმაწვილუბიც კი ესაყვედურებიან იმერლებსო და სხვა და სხვანი. ამ გვარ საისტორიო ცილისწამებას დიდი და უტყუარი საბუთი ეჭირვება და არა სოფლური უსაფუძვლო მითქმა-მოთქმა, რომლითაც ბ. მეუნარგია ხელმძღვანელობს. მართალია, აგვარ ასი წელიწადი შესრულდა, რაც ეს ხმები დადის, მაგრამ არც ერთს შეგნებულს და წინდახედულს ჭეშმარიტებათ არ მიუღია, თუ არ უმეცარსა და სხვის ფეხის ამყოლს. ამ ხმებს ავრცელებდენ თვით იმ ვაჟბატონების შვილები და შვილიშვილები, რომელთაც პირდაპირი მოდალატობა დამტკიცებულია, ავრცელებდენ იმ განზრახვით, რომ ცოდვა თავიდან აეცილებინათ იმერლებზე გადაბრალებით. დღეს ისტორიულათ გამოაშკარავდა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

გათვალისწინებული გვყავს ტუუანი და მართალი. აი, ვინ იყვნენ მტრები: 1. ის, ვინც მოიწვია ადა-მხმად-ხანი საქართველოში და გზის ხარჯათაც ასი ათასი მანათი გაუგზავნა. 2. ისინი, ვინც ცდილობდენ, რომ აოხრებულ საქართველოზე თავისი საკუთარი სამეფო აეგოთ. 3. ის, ვინც შორიდან აბრიყვებდა ორივე მხარეს და მოლა მასრადინივით ფიქრობდა: ვინც დაეცემა, მე დამრჩებაო. და 4, ისინი, ვინც ფულს არიგებდენ მოდალატეების მოსასყიდლათ. მოდალატეები ის დიდებული ქართველები იყვნენ, რომელთაც ფული მიიღეს და გაჭირვების დროს გადუდგენ მეფესა და საქართველოს.

ამ გვარი რამ არაფერი არ ჩაუდენიათ იმერლებს. პირ იქით მოეშველენ სამიათასი კაცით და იმათგან ბევრი აღარ დაბრუნებულა შინ. მართალია, დავით ბატონიშვილი ამბობს, რომ იმერლებმა გაიხსენეს ჩვენი თავზე დასხმა სოლომონის გამეფების დროსო, მაგრამ ეს უსაფუძვლოა. არავის შეუძლია, მაგალითი გვიჩვენოს ისტორიაში, რომ იმერლები თავისს მოძმეს ამერლებს, ანუ ქართველებს მტრულათ მოჰკიდებოდენ. საქართველოს გაუოფას ზემდეგ. მართალია, ხანდახან ერთმანეთში მოუხდებოდათ ხოლმე შეტაკება, მაგრამ ეს მოდიოდათ უფრო მოყვრულის მოსაზრებით და არა მტრულით, მაშინ იმათ ყოველთვის ის პატრიოტული მოსაზრება ახელმძღვანელებდათ, რომ საძმო-სამოყვროთ შეერთებულიყვენ. ასე მოხდა, მაგალითად, ბაგრატ დიდის იმერეთის მეფის დროს: შემწეობა კი პირ აქეთ არაოდეს დაუკლიათ.

განა ცოტა გაწყდა იმერელი ასპინძის ომში? ცოტა ბელადის დამარცხება საკუთრათ იმერლებისსაქმე არ იყო? ვიმეორებთ, რომ მტრული ანგარიშით იმერეთს ამერეთის ცუდი არასოდეს არ განუზრახავს.

ირაკლიმ თავისს სიცოცხლეში ერთი შესანიშნავი შეცდომა ჩაიდინა-ეს მაშინ, როცა იმერლებმა სთხოვეს შეგვიერთეო, მაგრამ ირაკლიმ ძალდატანებით თავის შვილიშვილის სოლომონ მეორეს დასკუპება მოინდომა ტახტზე და ამერთა ჯარი იმერეთის ასაოხრებლათ გაგზავნა, მაგრამ მაინც დღემდის დიდი სიყვარული და პატივისცემა აქვთ ქართველების, როგორც უფროს მოძმეების, ამას, მე მგონია, დიდი და პატარა, შეგნებული და შეუგნებელი ყველა უნდა ხედავდეს და გრძნობდეს, თუ ძულსთ, ძულსთ მხოლოთ ქართლის მტერი და ორგული. კარგათ გაიგეს იმათ, ვისი ბრალიც იყო თბილისის აოხრება და იმ დღიდან კიდეც შეიძულეს ის ხალხი, მანამდის კი იმათთანაც მეგობრებათ იყვენ. ამას გვიმტკიცებს მეფე სოლომონის მიწერ-მოწერა კათოლიკოზ ლუკასთან. თბილისის აოხრების ამბავი მაინც და მაინც შორეული არარის. ჩვენ კიდეც მოვსწრებივართ და გვინახავს ამ ომში დამსწრეები, სადაც ზოგის მამა მოკვდარა, ზოგის ძმა და ზოგის პაპა და ზოგი თითონაც ყოფილა დაჭრილი. იმათი გადმონაცემი სავსებით ეთანხმება თავად ალექსანდრე ჯაბაკურ ორბელიანის ნათქვამს, რომელიც ამ დღეებში დაისტამბა. თავადი სვიმონ წერეთელი, მეფის მეოვინეთ უხუცესი, ერთი უკეთესი მეომარ-სარდალთაგანი იყო იმ ომში და, აი, რას ამბობდა: «მეფე სოლომონს პაპი მისის ირაკლის წერილი ებოძა, რომლითაც აცნობებდა, რომ ყიზილბაშები შემოსევას გვიპირობენ და მოგვეშველეთო. იმავე დროს რევაზ ანდრონიკაშვილის კაცი მოუვიდა სახლთუხუცესს ზურაბ წერეთელს, მაგრამ რა ამბავი მოუტანა, ის კი საიდუმლოთ დარჩა. ეს რევაზ ანდრონიკაშვილი გიორგი ბატონიშვილის ცოლის ძმა იყო, ქართლ კახეთში დიდი გავლენიანი კაცი და ზურაბ წერეთელთანაც დამოკიდებულების მექონე.

დარბაზში ყველა იმ აზრის იყო, რომ იმერ-
ლები ოთხივე სასარდლო ჯარებით დაუყონე-
ბლივ მიშველებოდენ მეფე ირაკლის, მხოლოთ
ზურაბ სახუცესი იყო წინააღმდეგი და საუარ-
ყოფო საბუთებსაც ადგენდა. იმ დროს ზურა-
ბი პირველი კაცი იყო და დიდი განმავლობაც
ქონდა. ახალგაზდა მეფე თითქმის ხელში ეჭირა,
და ვინ იცის, როგორ გათავდებოდა საქმე, რომ
ქაიხოსრო წერეთელს მისი წინააღმდეგობა არ
დაეწყო და ზაქარია ანდრონიკაშვილის წიგნი
არ წამოედგინა. ეს ზაქარია მეფე სოლომონის
მამინაცვალი იყო და ქაიხოსრო წერეთელს
წერდა: მეფე ირაკლის მოღალატეები გამოუჩ-
დენ, აქ ხელს უშლიან და გააფთხილე გააფთ-
ხილე მეფე. რომ მადაც ხელი არ მოაწვდინონ
და საქართველო არ დაღუპონო. ამას შემდეგ
სასწორმა სარდლისკენ გადაძლია და დარბაზ-
მა ერთ ხმათ გადაწყვიტა, რომ იმერეთი კალა-
შქრებელიყო. აგიაშვილს, წულუკიძეს და მიქე
ლაძეს შეატყობინეს, რომ თავისი სასარდლო-
თი მოშველებოდენ, ჯარი უნდა გამოეყვანათ
არა ნაკლებ ოცი ათასისა და თითონ მეფე სამი
ათასი საწერეთლო მეომრებით დაუყონებლათ
გაემგზავრა ქართლისკენ. მეც რასაკვირველია,
თან ვახლდი, ერთ დღესაც არ მიშორებდა და
მხოლოდ მისმა ტრაპიზონში მიცვალებამ საუ-
კუნოთ დამაშორა. ქალაქში რომ ჩამოვედით,
ხოჯახანი ქალაქზე მომდგარ იყო. პირველი
ბრძოლა ჩვენ, იმერლებმა, ვიტვირთეთ. ორი
დღე ვიბრძოლეთ: გამოღმაით ჩვენ ვიდექით მა-
ღლობზე და გაღმით ყიზილბაშები მათი რიცხვი
უთვალავი იყო. ჩვენ კი მხოლოთ ორი ათასამ-
დე იმერელი ვიყავით, რადგანაც ერთი წილი
ჩვენგანი ქუმელა გურამიშვილს გაუგზავნეს,
ორასიოდე თათარი და სხვა კანტა კუნტათ
ქართლ-კახელები. კვირა დღე იყო. მტერმა
რომ გვიცოტავა, მოგვმართა, მაგრამ ჩვენ ბძა-
ნება გვქონდა და ადგილიდგან არ დავნძრეულ-
ვართ. ჯერ თოფები მივახალეთ და მერე ხმლით
დავიწყეთ მოგერება. შვიდჯერ გავაბრუნეთ, იმათ
ახალ ახალი ჯარები ენაცვლებოდათ, ჩვენ კი
ჯერ არ გვეჭირვებოდა გამონაცვლება. საოცა-
რი გულდამშვიდებით იბრძოდენ ჩვენი თათრები
და ქართლ კახელები: ჩვენები კი ჯიქივით ხტო-
დნენ და საფარში აღარ დგებოდენ. ორჯელ-
სამჯელ კიდეც გაჰყვენ და მიდიეს უკუ ქცეულ
მტერს. რაჭველი გოცირიძე, დათუნას სახლის
შვილი, გაიტაცა ბრძოლის სიმთვრალემ და
მარტოთ მარტო სერამდის აჰყვა გაქცეულ თა-
თრებს. ისინიც მოუბრუნდენ და შემოკრეს ირ-
გვლივ. საოცარი სანახავი იყო მისი თავ-გამო-
დება. შამოატრიალა ხმალი და ირგვლივ კა-
ლო გაიკეთა. იცოდა რომ ვერ გადარჩებოდა,
მაგრამ მაინც არ უნდოდა რომ მათ ხელში თავი
ჩაეგდო. ეს რომ დაინახეს მისმა ამხანაგებმა, ახალ
გაზდა იმერლებმა, გულმა აღარ მოუთმინათ და
შეუტიეს; ერთი ასს ებრძოდა, მოკლეს გოცი-
რიძე, ზედ სამასამდის ჩვენებიც დააკვდა, მაგ-
რამ ზედ ყიზილბაშების ხორაც დადგეს. მაშინ
ბძანა მეფე ირაკლიმ „აჩქარდენ, საქმეს გამიფუ-
ჭებენო»; მოავლო ბაირაღს ხელი და თითონ
წაუძღვა ერთიანათ ჯარს. ახალ გაზდა შვილი-
შვილი ადგილზე დაჰტოვა და მიბძანა, მეც არ
მოვშორებოდი. მაგრამ ჩვენ მეფესაც გულმა
აღარ მოუთმინა, მიაშურა ხმალ და ხმალ და
ჩვენც მივეევით. დიდი მეფე სოლომონის ხლე-
ბულს ბევრი ლაშქრობა გამომივლია, ბევრ ომ-
ში ვეოფილვარ, მაგრამ ამისთანა ბრძოლა არსად
მინახავს. თუ წინ ბნელი არ გადაგვდობებოდა,
შორს გავრეკდით მტრებს, გამარჯვება, მაინც,
რასაკვირველია, ჩვენი იყო. სიხარულს საზღვარი
აღარ ქონდა. ბევრი მოიკლა ჩვენები, საწერეთ-
ლო აზნაურიშვილები; დაჭრილებიც ბევრი იყო,
ჭირისუფლებმა წუწუნი დაიწყეს, თავთავის
მკვდრებს ტირიოდენ და იმდენზე გაგულისდენ,
რომ ღამე თავდასხმას უპირობდენ: აღარც სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რდლებისა ჭსჯერ ოდათ და ადარც მეფის. მაშინ მეფე ირაკლიმ უთხრა ჩვენ ბატონ მეფეს: ამედამ აქ ბრძოლა ადარ იქნება, აქ საჭირო ადარა ხართ, თქვენ წადით, თბილისში მოისვენეთ და ხვალ რო შეგატყობინოთ, მზად იყავით, მომეშველეთო. შევბრუნდი ქალაქში და მივამახარობლეთ გამარჯვება. საკვირველია! ზოგიერთებს არ ეჭაშნიკა, თ ერმე ღალატობას შედგომოდენ და დიდი ჩურჩული იყო. ჩვენ რას მიეხდებოდით! მეორე დღეს დილა ადრე აბანოებთან ვიდექით მზათ და ირაკლის ბრძანებას მოველოდით; ჩვენ გვიკვირდა, რომ იქ ბრძოლა იყო და ჩვენ კი არას გვატყობინებდენ. უცბათ ვილაც-ვილაცები შემოიჭრენ ქალაქში და ხმა დაჰყარეს, რომ ირაკლი დამარცხდა და ყიზილბაშები ქალაქში შემოდიანო. ამ დროს აბაშიძე და მისი ჯარი ზარბაზნებთან დატოვებულნი რომ იყვნენ, დიდი შეწუხებული მოვიდნენ და გვითხრეს: «ქართველები გაწყდენ, ზარბაზნები წაგვართვეს, დიდ ძალი ჯარი მოგვაწვა, თავს უშველეთ. ვისაც შეგიძლიათოო». მაშინ ბძანა მეფე სოლომონმა: «ღმერთო ჩემო! რა მიზეზია, რომ ჩემი დაბარებული ჯარი ამდენ ხანს არაად ჩანსო? მაშინ შემეძლო, რომ მე დაეხვედროდი ჩემის იმერლებით ხოჯა ხანს, გინდ მთელი თეირანი ჩემზე მოერეკაო! მაგრამ ახლა რალა ვქნა, ერთი მუჭა ჯარით როცა აქაურობა მოღალატეებით ყოფილა სავსეო! ტირილი დაიწყო და დავაპირეთ დაბრუნება იმერეთისკენ. მერე კი გავიგეთ, თუ რა მიზეზით არ მოგვეშველენ იმერეთიდან დაბარებული სასარდლოები, მაგრამ რალა დროს? ღმერთმა ჰკითხოს მოღალატეს!

ბრძოლის დროს ორი დღე ჩვენს პირში არა ჩასულა რა. ქალაქში რომ შევბრუნდით მშიერები, ქალაქის მელიჭს, თუმცა ნაბძანები ქონდა, მაგრამ არაფერი არა დაემზადებიარა ჩვენთვის. ზოგიერთი უცხო ვაჭრები სულ სხვა გუნებაზე იყვნენ, სულ სხვა რამეს ელოდენ. ჯხადია, რომ ისინიც ირაკლის წინააღმდეგ შეთქმულებში ერიენ. თან ქვეყნის უბედურება გვაწუხებდა და თან შიმშილი გვამწარებდა. უსაგზლოთ იმერეთამდი რალა მიგვაწვენებდა. ხვეწნა ვედრება რომ არ გაგვივიდა, დავერიეთ იმ სასიკვდილე ვაჭრებს და რამდენიმე დუქანი გავცარცვეთ, გავიტენეთ პურ-ღვინით ხვირჯინები და ისე გამოვედით ქალაქიდან; გარდა საჭმელ სასმელისა, არაფრისათვის არავის ჩვენგანს ხელი არ უხლია, მაგრამ ამაზედაც დიდად გაგვირისხდა ბატონი მეფე სოლომონი. გულ დალადრული, თვალ-ცრემლიანი მივდიოდით, რომ საცოდაობით უკან ველარ მოგვეხედნა. დილმის მინდორში შევისვენეთ, მაგრამ ის შესვენება კი არ იყო, ჯოჯოხეთი იყო. მეფე მოთქმით ტიროდა და ჩვენ გულ ამომჯდარი თავზე ვადექით. ასე გათავდა ეს უბედური ხოჯანნობა. კარგი მახარობელი ვერ ჩამოუვედით იმერლებს. მკვდრები დაუმარხავი აქვე დაგვრჩენ, მაგრამ ნუგეშათ ის გვედვა გულში ოდესმე სამაგიერო გადაგვეხადა და როდესაც ერთხელ კიდევ მოვიდა ამბავი იმერეთში, ბოჯა-ხანი ხელ მეორეთ აპირობს შემოსევასო, იმერეთი დადგა ფეხზე და დიდიან-პატარაიანა, ყველა ემზადებოდა საომრათ წასვლას, მაგრამ ღმერმა სხვებ ინება და დღე დაუმოკლა ხოჯა-ხანს» *).

აკაკი.

საქართველოს ძველი დროს თავგადასავალი.

(გაგრძელება *)

გიორგი მეფისაგან კვალად დესპანისა გაგზავნა კვისარსათანა და მშვიდობისა პირსა ზედა ზავისა თხოვნა და კვისრისაგან ნებისა დართვა და მშვიდობით შერიგება მათი:

მაშინ მეფემან მირიდა სპათა თვისითა შორესა.
მუნიდგან თხრობა ზავისა ქართველთა ამეორესა;

*) ამ სტატიას ვბეჭდავთ შეუცვლელად «კვალიდგან». რედ.

*) ის. «მწყემსი»-ს № 16 1895 წ.

შესთვალა მეფემ, მერწმუნე გკადრებ სიტყვასა სწორესა,
მტრად ნუ აღმიდგენ მე შენსა გულ ტკბილად მოუბარესა.
ვერა ჰყოფ შენის ძალითა, ყმანი არ აღმესპობიან,
ნუ მიადევ შურით აღძვრასა, ბერძენი დაგემხობიან,
შენნი მებრძოლნი იხილენ, ჩემთა ყმად ვერ სჯობიან,
ისარნი ჩვენგან სრეულნი გულს მკვლელად გაგესობიან!
ყმანი შენნი უგულისხმოდ რაზომ თუმცა სთამამობენ,
მაგრამ, ხედავ, მათსა ზედა ყმანი ჩემნი გულოვნებენ;
ველსა ზედა შუბის პირსა პითა ჩოგანა სთამაშობენ,
მდეულებრ მკვდართა ჰფენენ, ხმალთა პყრობად მკლავმაგრობენ.
გკადრებ, შეგბრალდეს ერთგულნი შენნი ველს დაფენილები.
ურიცხვთა გვამთა განბრძარვენ საჭმელად მხეცთა კბილები,
ძოლანგმწყვენ ერთგულად რაზმ წყობრად შეკრებილები,
დღეს უპატრონთ მინდორთა ჰყრიან სათუთად ზრდილები.
იმავე, რაზდენ დავზოკეთ შენთანა დაზრდილებია!
სრულად აღვსო მძოვრითა, ხედავ, ვრცელ ადგილებია;
იგი მახვილთა მჭრელობა ბერძენთა დალბილებია,
მოძმენი მათნი მფრინველთა ჩარბითა განხრწნილებია.
ღმერთი მოგკითხავს მაღალი დიდა მას სამსაჯულოსა,
სჯობს კაცმან საქმე კეთილი მარადის განიგულოსა,
რისხვა განსდევნოს გონებით, შურიცა შეიძულოსა,
სიმართლისათვის მზაობდეს, თვალი არ დაირულოსა.
აწ რა ძეს შენი და ჩემი, ჰბრძანე რისთვის გაქვს მტეროობა,
კმა სიძულილი განსდევნო, სიყვარულს უქმნა სეროობა,
რისხვასა შინა წყალობით იხმიო მაგიერობა,
დაცხვრა აღძვრა წინანი, ჰყო მათი დანაბერობა.
რა თქმანი სამართლიანი ესმა კესარსა ყურითა,
განსწმინდა გული, რომელი აქვნდა აღვრილი შურითა,
ჰყო შეზავება კეთილი საქმითა მონაშურითა,
შეერთდნენ, იქმნა ლხინები, სვეს ღვინო მრავლად სურითა.

მეფემან მისცა ძე თვისი მძევლად, ბაგრატად ხმობილი,
ჰყვეს ზავი სიხარულითა, იყვნენ ცა კეთილ ტკბობილი,
პირველ მტერ ქმნილნი იმოყვრნენ, იქმნენ გულითა-ტკბობილი,
მშვიდობა მოხდა, იშვებდა ერი ამისი ცნობილი.
ერთად დაჰყვეს დრონი ტკბილად, შეიქცა კეისარია;
მივიდა თვისსა ქვეყანასა, დაადგა ქართველთ მხღვარია,
კვლავ იქმნა მეფე გიორგი მშვიდობით განახარია,
თვისთა მოყმეთა დაუწყო მან ამ საუბარია.
ყოველგნით განაგნა მეფემან, თუ სად ჰყვეს აღრეულობა,
მთასა და ბარსა მიჰფინა სიბრძნითა განგიბულობა,
კვლავ დააფუძნა მშვიდობა, ჰყო შფოთთა დაკარგულობა,
არა მოიკლო ერთგულთა მოწმეთა აღკაზმულობა.

თვით-მზეგრობელისა მონარხისაგან ზეგრობისა დიდისა გარდახდა და მეფეს გიორგის ძის ბაგრატისა ნიჭისა მრავლისა ბოძება და დათხოვნა ხილვად მამისა თვისისა.

შემდგომად წლისა სამისა კესარმან პურადობანი,
ჰყო გაემნობა დიდებით, აქვსთ მთავართ დარაზობანი.
ბაგრატისათვის საჭურჭლით არს ნიჭთა მრავალდობანი,
უბოძა დია ურიცხვი, ჰყო მისთვის იეფობანი.
უბრძანა, წარვედ, მამასა შეუქმენ სიხარულება,
ნუგეშ ეც შენი ხილვითა, ამ ვენე სრათა მკულება;
ძმად ჩემდა ვესავ ძოლანდლით, მამწონს სპათ დარაზმულებია,
ჰკადრე ჩემ მიერ მოკითხვა და ეს სიყვარული თქმულება.
ბაგრატ მდაბლად თაყვანი სცა, მადლი ჰკადრა დაუფარად.
გამოვიდა მოეშზადა, მამის ხილვა სწადდა ჩქარად,
წარმოგვალა, მსწრაფლ მოვიდა ქართლოსისა იგი მზღვარად,
მეფე წინა მიეგება, გულსა ესვა შენაყვარად.
ბანითქვა ბაგრატის მოსვლა, ქართველნი მხიარულობდეს,
მისაგებებლად ყოველნი ისწრაფდეს, აღკაზმულობდეს,

ფერად ფერადად მოსილნი მიმგებნი დარაზმულობდეს,
მნათობნი ქალნი ბანთთაგან მასს შემოსვლასა ჰყურობდეს.

მეფემან ტკბილად მიიღო ძე თვისი საყვარელია,
სიხარულითა თვ ალთაგან ცრემლისა გადმომღვრელია,
ყელსა მოეჭდო, დაჰკოცნა, იყო ტკბილ სიტყვა მთქმელია,
კაცს განაცოცხლებს სრულ ყოფა, რაც მისი საწადელია.

მოვიდნენ გვირგვინოსანსა ქალაქსა, შექმნეს ლხინები,
ყოველნი იშვებდეს, განხადეს გულით კეშანთ ზვინები,
ხმობდეს, ქამი გვაქვს განცხრომის, გულო ნუ მოგვეწყინები!
ჰალატს ტკბებოდეს მთავარნი, დავიწყდათ თვისნი ბინები.

ესრედ მეფემან გიორგიმ დაჰყო მრავალნი ქამები,
მოვიდა თვისსა მამულსა, არ ჰქონდა გულსა ვამები,
ყოველად დაიტკბო თვისისა განცხოვრებისა წამები,
სვემან აცვრივა ზეგარდმო იგი კეთილი ნამები.

სახელოვანისა მის ქართველთა მეფისა გიორგის გარდაცვალება და ძისა მისისა ბაგრატისა მეფედ დაჯდომა.

საწუთოსა ამის დრონი განატარა მხიარულმან,
მერმე სთხოვა ხარჯი თვისი სოფლის ქცევა ყოველად კრულმან,
შეეძინა თვისთ წინაპართ, დაფარულ ჰყო მძიმე რულმან,
გარდაგვალა სხვას სავანეს, კეთილობით ერთობ სრულიმან.

დაჯდა ტახტზედა ძე მისი ბაგრატ მხნე, გულოვანია,
საქმისა მარჯვედ მიმწთომი, გონებით ხელოვანია;
მან განაშვენა მამისა სრანი, სამყოფნი, ვანია,
ბრძოლასა შინა მტკიცედ ჰსდგა, ჰასაკით ახოვანია.

რა გამოვიდა ქამები, გარდახდეს წელიწადები,
მისთ მეშურნეთა ყოველთა პირად ჰყვეს გულსა ნადები,
განჰსქდნენ მემხლვრელნი მრავალნი, ჰქნეს შფოთი განაცხადები;
ამისა დროსა მელები, შეიქმნენ ლომნი ხავადები.

აღსტეხეს ბრძოლა ყოველ კერძო, იხვიეს უკუ დგომანი,
მრავალთა ცხად ჰყვეს მთავართა ბაგრატის არღა ნდობანი,
იგიცა შეხვდა ძლიერად, არად შერაცხა შრომანი,
ვისცა მოასწრო, ნაცვალი მიაგო რისხვით წყრობანი.

ქამად ჰბრძოდა შავის ზღვის კერძ, ქამათ ტაოთ სომხითს ველებს,
მრავალთა ჰყვეს საქმე ცუდი, მიემჰსგავსნენ ქცევით მელებს,
ვისცა ასწრის, უჩვენებდა ბედმლაშეთა მახვილს მჭრელებს,
ორგულ ქმნილთა ანანებდა, უყენებდა დღეთა ბნელებს.

ბაგრატ სიბრძნითა განთქმული იყო მასთ ზესთა ბრძენია,
გულანდამატი მას დროსა, სახითა ყოველთა მშვენია,
ორგულთა რისხვით მომხედი, ერთგულთ წყალობის მფენია,
სიბრძნითა თვისით მრავალთა წყენათა მოცამთმენია.

ვითა ორბი ფრთის სისწრაფით, ეგრეთ ვლიდა თვისსა მზღვართა,
ქამად უის იმიერად, მსწრაფლ მოგვალის ამერთ კართა,
ოდეს ორგულს შეიპყრობდის, ტკბილს ასმენდის საუბარსა,
მშვიდი, იყო გულით მდაბალ, დიდნი შფოთნი მით წარმართა.

ბრძნისა მის მეფისა და ფრიად კეთილისა ბაგრატისა განდგომა ბოროტთა კეთილთამე ხელ-ქვეშეთა მისთა, და მათგან აღზრდა სპარსთა სულთანისა ბაგრატ მეფესა ზედა და მოსვლა სარკინოზთა ლაშკრისა, რიცხვით მიუმხვდარისა ქართველსა ზედ.

თვის ხელ ქვეშეთნი მრავალნი შეიქმნენ განშორებულად,
სპარსთა მიუდგნენ, წარმართთა ჰყვეს ციხე გამაგრებულად,
მრავალნი იყვნენ სამსახდ ბოროტთა გულსა დებულად,
ილვწიდნენ, შურსა შეუდგნენ, კეთილ ჰყვეს მოძაგებულად.

უსჯულოთ სპანი შეჰკრიბეს, ჰრქვეს სპარსთა საამონია,
ქართველთა მბღვარნი გასმიათ არიან თქვენდ სამონია,
მათ უჯდეს მეფე ძლიერი, თქვენთვის რა საკადრონია!
თუ გნებავსთ მეფის შეპყრობა, არს უმჯობესი დრონია.

ალსართან იქნა მასლამა ბილწი, სარკინოზთ სჯულისა,
ვი შეექნა სულთანსა თვით ალმზრზენელად გულისა!
ქართველთა უფხრა ყოველი საგმენი დაფარულისა,
თავსა შეუდგა სრულ ყოფა თვისისა განზრახულისა.
ბასცა ბრძანება სულტანმან, შეჰკრიბნა ყოველნი ჯარები,
ბლიხ სარკინოზთა ლაშკარნი იყენენ რიცხვ-მიუმხვ-დარები;
მოსცა ალსართანს, წარ მოელო წყეულ მან ქართლის მზღვარები,
თვითცა შეუდგა უკანა, ჰსურსთ დენად სისხლის ღვარები.
რაზმმან დაჰფარა ქვეყანა ერცელი ქართლოსის ტომისა,
ბაგრატ მეფეა გულ-ლომი არა აქვს რიდი ომისა,
გულს შეეკრიბნა სწაელანი, ზეგარდმო მიუწთომისა,
შეეძინა სიმხნე სიბრძნესა, მიღო დრონი შრომისა.

ბრძოლა ძლიერი და ფიცხელი ქართველთა მეფისა ბაგრატისა და სპარსთა სულტანისა ლაშკართა და სპასალართა მისთა სჯულითა სარკინოზთა, ადგორგებულთა მეფესა და ქართველთა ზედა ქრისტეს მტერობითა.

შკუდგა, სადა სიმაგრეთ იყენენ ციხენი გებულნი,
სარკინოზთ რაზმთა ეკვეთნენ მესისხლედ განფიცხებულნი,
ებრძოდნენ გმირებრ ყოველნი დასნი მეფისა კრებულნი,
გარნა წარმართნი ჯარსკვლავებრ შეიქმნენ გახშირებულნი.
საცა იყენენ მეფის სპანი ერთობილნი იჭირვოდეს,
ადგილ ადგილ სიმაგრეთა სარკინოზთა დაესხმოდეს,
ხოცდენ, ჰკაფდენ, ჩაშოჰყრიდენ, განძვინებით მათზედ ჰბრძოდეს,
მაგრამ რა ჰყონ, სიმცირითა თვისსა წადილს ვერ იქმოდეს!

სრულ სარკინოზით ალიესო ქართლისა შენობებია,
ვითა ქვეშანი სულტანსა ლაშქარი განმრავლებია,
მთანი და ველნი დაჰფარეს ჰქმნეს მრავლად სადგურებია,
ებრძოდა მეფე გულ სრულად, ჰყოეს ყმანი მკლავ მაგრებია.
რაზომცა ხოცდეს, არ მოხდა სარკინოზთ დაკლებანია,
ჯარავლდებოდენ ეით ძვალნი, აქვსთ ყოველ მხრით მოკრებანია;
გაწითლდეს სისხლით მდინარნი, შეიღებოდეს ტბანია,
მოსრესცა მრავლად ქართველნი, ჰყოეს მშობელთ გოდებანია.

სხვა იხელოვნა მეფემან, არს სიბრძნით ყოვლთა ზესია;
შესთვალა სუთანს, მშვიდობა ეჰყოთ ესე უკეთესია,
დავაცხროთ სისხლთა დენანი, ვქმნათ ზავი ვითა წესია,
დასწყნარდეს ბრძოლა სასტიკი, თქვენთვისცა უმჯობესია.

საქართველოსა მეფის ბაგრატისაგან მაღლისა ადა ბრძნულისა მოგონებითა გამორჩევა და დესპანის გაგზავნა წინაშე სპარსთა სულთნისა, და თხოვნა ზაკის ბირისა ოფოვისათვის მშვიდობისა.

მეფის დესპანნი სულთანმან მიიღო სიხარულითა,
სთქვა; სჯობსო დია მშვიდობა, მეცა მწადს ეგე გულითა,
ორგნივე რაზმი მომწყდარ არს ჩვენითა განზრახულითა,
ამად ნუ გვრიდებთ, მით რომე ჩვენა ვართ სხვითა სჯულითა.

შექმნეს მშვიდობა, სულტანმან უკ მოაყენა ჯარები,
დააგდეს ზემო ადგილნი, ჰყენეს თავნი განაგარები,
განელო თბილისი, განძისა ჰქმნა სხვისა მინაბარები,
თვით წარემართა სპარსეთად, გარდაელო თვისი მზღვარები,

მაშინ ალსტყდა ფადლონ ვინმე, ეწყო მეფის შეკრთებასა;
ალუზახა ჯარსა რასმე, შეეცადა მეფის ენებას,
ბაგრატს ესმა გაგულისდა, სპანი მისცა განმხადებას,
ველსა ზედა ისანისსა ფადლონ ჰყოცა შენანებას.

სამ ათჯერ ჰყვანდა ათასი ფადლონსა მეომარია,
მიმართა მეფემ გულ სრულად, ზეთაესა დასცა ზარია,
ალსწყვეტა სრულად მებრძოლი, მკვდართა რიცხვებსა გარია,
ფადლონ ხუთისა მონითა გაიქცა ნალმობარია.

ზანიფესძვირა ბაგრატმან სიბრძნითა ხელოვნებულმან,
დააცხრო შფოთი მრავალი, კნინ შრომით შეიწრებულმან,
კელავ განიმტკიცა მეფობა მამაცობითა ქებულმან,
დაიპყრა თვისი მრავალი მერცხლებრ ფრთე ამაღლებულმან.

ახალი ამბები და შენიშვნები.

ყოველად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი გელათში ავად გახდომის შემდეგ ცოტა მომჯობინდა, მაგრამ დღეს ისევ ავად არის. საზოგადო სისუსტეს თან დაერთო საჭმლის ძნელი მონელება. ამის გამო დასავლეთის საქართველოს სამღვდელოება და საზოგადოება დიდს მწუხარებაშია ჩავარდნილი.

***

სამეგრელოს სამღვდელოებამ თავისს უკანასკნელ სხდომაზე საჩივარი შეიტანა თავისი სასულიერო ოთხ-კლასიანი სასწავლებლის კორპორაციაზედ იმის გამო, რომ წელს ამ სასწავლებლის მოსწავლეებმა ვერც ერთ საგანში, გარდა ლათინურისა, შესაფერი ეგზამენები ვერ დაიკავეს ქუთაისის სასულიერო სემინარიაში შესასვლელად. ამ სასწავლებლის ზედამხედველი, როგორც ამბობენ თავსს ანებებს თავისს თანამდებობას და ქუთაისის სასულიერო სემინარიაში თხოვილობს მასწავლებლობასო.

***

დასავლეთის სამღვდელობის ჯამაგირებზე წარდგენის საქმე უკანვე დააბრუნა კანტორამ შესასწორებლად.

***

წელს ორი ოქტომბრისათვის მოწამეთის მონასტერში მოტანილი და დადგმული იქნება ახალი ლუსკუმა წმიდათა მთავარ მოწამეთა დავით და კონსტანტინეს გვამთა ჩასასვენებლად. ეს ახალი ლესკუმა მშვენიერი ხელოვნების რამ არის.

***

წელს პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში მხოლოდ 49 კაცს განუცხადებია შესვლის სურვილი, ხოლო მოსკოვის სასულიერო აკადემიაში შემსვლელთა რიცხვი უოფილა 150, ადგილი კი მხოლოდ 50 უოფილა.

***

წელს ოდესის უნივერსიტეტში მხოლოდ 75 კაცი მიუღიათ.

***

კიევის უნივერსიტეტში 470 კაცს შეუტანია თხოვნა. ამათში ქრისტეს აღმსარებელნი უოფილან 367, ხოლო ებრაელნი 103 კაცი.

***

როგორც სწერენ, თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორად უოფილი ხოლო დღეს უფროსი წევრი პეტერბურგის სასულიერო სცენზურო კომიტეტისა, არქიმანდრიტი ტიხონი ინიშნება სერბეთის ეპარქიის ქორ-ეპისკოპოსად.

***

აგვისტოს თვის ბოლოს კიევში პეტერბურგის სხვადასხვა ქვეყნებში აუყვანიათ 660 მოკრძალე კაცი და გაუგზავნიათ ციხეების სახლებში.

***

უმაღლესი სასულიერო მთავრობა დიდი ხნიდან ეძიებს სხვა-და-სხვა ზომებს, რომ ჩვენი სამღვდელოების ნიკოიერი მდგომარეობა გაუმჯობესოს. სხვათა ზომათა შორის ფიქრობენ დაარსონ უკვე ეპარქიებში ემერიტალური კასები საამღვდელოთათვის. ამ კასების პროექტის შემუშავება უკვე დაუწეიათ, სადაც ჯერ არს.

***

სასჯელთა საქმეთა მინისტრის ნება დართვით ქ. ქუთაისში უნდა აშენდეს სასამართლო დაწესებულებათა მოსათავსებლად სასელმწიფო შენობა. ეს შენობა, როგორც ამბობენ, უნდა აშენდეს თბილისის ქუჩაზე, პროგიმნაზიის გვერდით ბ. იოსელიანის ადგილში.

***

ერთ რუსულს გაზეთში მოეკანალია იმგვარი მაგალითი, რომელიც ამტკიცებს ერთი სოფლის მღვდლის სიუკარულს სამრევლო სკოლისადმი.

იელისში ამა მდგომარე წლისა, კიატკის ეპისკოპოსს სურვილის შემდეგი შინაარსის თხოვნა მიართვა

ვიტკის მაზრის, სოფელ მედიანის მღვდელმა ნიკოლოზ ზუბარევმა; «1884 წელს, ღვთის შეწყალებით, სოფელს მედიანში დავაარსე საეკლესიო-სამრევლო სკოლა ქალთათვის, რომელიც მომავალი დედებისათვის. მაშინვე ალთქმა დავდეი, რომ ეს სკოლა მტკიცე საფუძველზე დამემყარებია. დღეს, სანამ ცოცხალ კარ, ამ ალთქმის ალსრულება შესაძლებლად მომაჩნია. ამასთანავე წარმოვადგენ რა თქვენი მეუფების წინაშე სამი ათას მანეთს (3000 руб., რომელიც ამ ოც-და ოთხმეტი წლის განმავლობაში გადავარჩინე ჩემი შეძლებულობიდან, უმორჩილესად გთხოვ თქვენს მეუფებას, წელიწადი ეს მიიღოთ ჩემგან, რათა ამ ფულის სარგებლით შენახულ იქნეს სოფელ მედიანში სამრევლო სკოლა და მასწავლებელი ქალი ანუ კაცი, რომელნიც უსათუოდ უნდა იყვნენ სასულიერო წოდებისაგან, თანხა კი სამუდამოდ ხელუხლებელი უნდა იქნეს. მღვდელი ნიკოლოზ ზუბარევი მისგან დაარსებულ სკოლაში არის გამგედ და საღმრთო სჯულის მასწავლებლად 1884 წ. და თავისი საშუალებიდგან ოთხელ წელიწადი აძლევს ამ სკოლის მასწავლებელ ქალს ჯამაგირად არა ნაკლებ 80 მანეთისა.»

რა კარგი იქნება, რომ უფრო მდიდარ სარო ბიერთაც უყვარდეთ ასე თავიანთი ღარიბი მოძმენი.

არქიმანდრიტი ლეონიდი *).

*) რადგან მ. არქიმანდრიტს ლეონიდს შესახებ ბიოგრაფიული ცნობების დაბეჭდის დროს ვერ მივიღეთ ფოტოში, ამიტომ ამ ნომერში ვბეჭდავთ ამ სურათს.

რედ.

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებისა და კეთილმზნეობაზე.

წმიდანი მთავარ მოწამენი დავით და კონსტანტინე

ჯ

მოწამეთის მონასტერი იმერეთში.

საქართველოს ისტორია წარმოგვიდგენს ენით გამოუთქმელ ტანჯვა-წვალებას, რომელიც საქართველოს ერმა გამოსცადა მრავალ საუკუნოების განავლობაში თავისი მართლ-მადიდებელი სარწმუნოებისა, თავისი ძვირფასი სამშობლოისა და თავისი ხალხოსნობისათვის. საქართველოს გარეშემო მცხოვრები ხალხი ყოველივე ღონისძიებით ცდილობდა ხელში ჩაეგდო ეს მშვენიერი კუთხე ჯერ კიდევ გაქრისტიანებამდე. მას შემდეგ, რაც საქართველოში გავრცელდა ქრისტიანობა, ამ მხარეს მოსვენება არა ჰქონდა მეზობელ ურწმუნო ხალხთაგან. ერთად ერთი ნატვრა სპარსელთა და მოსლემანთა ის იყო, რომ საქართველოში ძირიანად აღმოეფხვრათ ქრისტეს სარწმუნოება და ქართველი ერი გაემაჰმადიანებიათ. აი სწორეთ აქედან იწყება საქართველოს ერის აუარებელი სისხლის ღვრა. ქართველები თავ-გამეტებით ებრძოდენ მოსლემანებს. ამ ბრძოლის დროს ნიადაგ მრავლდებოდა ჩვენში მოწამეების რიცხვი, რომელთა რიცხვს სხვა ქრისტიან ხალხთა მოწამეების რიცხვი ვერ შეედრება. მაგრამ ვერც საშიშარმა და სასტიკმა წამებამ, ვერც ურწმუნო მწვალებელთა ცბიერებამ და ვერც ქვეყნიური დიდების აღთქმამ და დაპირებამ ვერ ააღებია ქართველს ერს ხელი ქრისტეს სარწმუნოებაზე. როცა ერთი ურწმუნო ხალხის შემოსევის შემდეგ საქართველოს ერი ცოტათი მოღონიერდებოდა და მოისვენებდა, მეორე სხვა ურწმუნო ხალხი შემოესევოდა და ააოხრებდა საქართველოს, აკლეედა ხალხის ნაღვაწს და ნაშრომს. ამ სახით საქართველოს ერმა მრავალი საუკუნოების განმავლობაში მრავალი აოხრება და დაქცევა გამოსცადა მტერთაგან.

სწორეთ ამისთანა უბედური დრო იყო საქართველოსათვის მერვე საუკუნე, როდესაც სცხოვრებდენ წმ. მოწამენი დავით და კონსტანტინე.

მაღომეტმა თავიანთ მორწმუნეთა შემწეობით აოხრა მრავალი მხარენი. უველა ადგილები ხმელთაშუა ზღვიდგან ინდოეთამდის და ბაკტრიამდის, ინდოეთის ზღვიდგან სომხეთამდის ჩაუარდათ მათ ხელში. 731 წელში შემოვიდა საქართველოში დიდი ჯარით უკანასკნელი არაბეთის ხალიფი მურვან ყრუ, ანუ მურვან მეორე, ჩამამაელოტბით ომმაიდი.

მურვან ყრუმ ააოხრა ეკლესიები აღმოსავლეთ საქართველოში და გასწყვიტა მრავალნი ქრისტიანენი. შემდგომ მურვანი წამოვიდა დასავლეთ საქართველოში იმერეთში. არცერთი მტრებია თავ-დაცემა იმერეთისათვის არ ყოფილა ისეთი ამაოხრებელი ყოვლის მხრით, როგორც ეს მურვანის იმერთში შემოსევა იყო. პირველად მურვან ყრუ თავს დაეცა არგვეთის თავადებს დავითს და კონსტანტინეს. წმიდანი მოწამენი დავით და კონსტანტინე იყვნენ ქართველნი — იმერლები, ერთ-ხორკნი ძმანი. იგინი იყვნენ შვილები მდიდარი და კეთილი მშობლებისა. არის ერთი ზეპირ-გადმოცემა, რომელიც მოგვითხრობს, რომ ისინი გვარათ თავადი მხეიძეები იყვნენ. დავით და კონსტანტინე იყვნენ არგვეთის თავადები; სოფელი არგვეთა მაშინ შეადგენდა ცალკე სამეფოს. ეს მოწამენი სცხოვრებდენ მერვე საუკუნის დასაწყისში ქრისტეს შემდეგ. მათ კარგად იცოდენ საღმრთო წერილი და მასთან მეტად ღვთის მოშიშნი და მაეედრებელნი იყვნენ; ისინი იყვნენ მშვენიერნი სახისანი, მოსულნი, ღონიერნი და გამბედავნი. თავის სიცოცხლეში უცოლოები იყვნენ და მეცადინობდენ თავისა ქვეშევრდომთა კეთილდღეობაზე. ამიტომაც ისინი ყველას ძალიან უყვარდა არა მარტო როგორც უმფროსნი, სამოქალაქო მმართველნი, არამედ როგორც კეთილნი მასწავლებელნი. ყოველ მტერთან ბრძოლაში მათი სახელი ამხნევებდა ყველას და მასთან მათი წმიდა ცხოვრება იყო ყველასათვის სარკე.

დავით და კონსტანტინემ შეჰკრიბეს ჯარი და ღვთის იმედით გაბედვით შეხვდნენ მურვანს ჯარს, დაამარცხეს ის. ამ დამარცხებამ მეტად გააბრაზა მურვანი და ამიტომ მან შეჰკრიბა მთელი თავისი ძალა და გადასწყვიტა ძლიერებით ნაქები თავადების დაჭერა და ტყვედ წაყვანა. მართლაც აღუსრულდა მურვანს გულის წადილი. თავადები დაატყვევეს და

შეკრულნი ჩამოიყვანეს ქ. ძუთაისში და წარუდგინეს მურვანს.

ამ სახით ბედმა უმტყუნა კეთილ-მსახურთ თავადებს, მაგრამ მათ არ შესცვალეს სარწმუნოება ჭეშმარიტისა ღვთისა. ისინი წმიდა ფსალმუნების სიტყვებით ამხნევებდნენ ერთმანეთს და ურჩევდნენ აეტანათ მათ ყოველივე წვალება — «ვინა ხართ თქვენ, რომელთა გაბედეთ იარაღის ხმარება ჩემ წინააღმდეგ, გაბრაზებით ჰკითხა მათ მურვანმა.—ბანა თქვენ არ იცით, რომ მე ვარ ძმისწული დიდი წინასწარმეტყველის მაგომეტისა, რომელსა თაყვანსა სცემენ მთელი არაბეთი და სპარსი და რომ ჩემი ძალით დაპყრობილია მთელი დედა-მიწა აღმოსავლეთიდგან დასავლეთამდე?» — «ჩვენ ქრისტიანები ვართ, თავმდაბლათ მიუგეს მოწამეთ; —ხოლო მაგომეტი, რომელსაც შენ ასე ადიდებ, იყო მატყუარა და ხალხის აღმაოხრებელი, და ყველა, ვინც კი იწამა ის, მოსტყუვდა; ნუ სტყუვდები შენ თვითონ და ნუ დიდობ შენი ძალით. უფალი და ღმერთი ჩვენი იესო ქრისტე, რომელიც ჩვენ გვწამს, შენზე უძლიერესია: მან დაგვსაჯა ჩვენ ჩვენი ცოდვებისათვის. მაგრამ სულ არ დაგვიტევებს; დაგსჯის შენც და შენს შთამომავლობასაც».

როცა ეს სიტყვები გაიგონა თავადებისაგან მურვანმა, მოუწოდა იესო ქრისტეს სარწმუნოების აღმსარებელთ და უნდოდა შეეცდინა ისინი მიფერებით და ტკბილი სიტყვებით: «კამიგონეთ მე, უთხრა მათ მურვანმა; მე თქვენ კარ რჩევას მოგცემთ: მიიღეთ დიდი წინასწარმეტყველის მაღომეტის სარწმუნოება და თქვენ შეიქნებით ქვეყანაზე უბედნიერესნი. —შენ, დავით, უთხრა მას მურვანმა, როგორც უფროსი, იქნები ჩემს შემდეგ მეორე პირი სამეფოში, შენ კი, უფროსო კონსტანტინე, იქნები რიცხვსა შინა სხვათა ჩემთა წარჩინებულთა პირთა» — «არა, მიუგეს მოწამეთა, ჩვენ არ გვინდა დავარღვიოთ აღთქმა, რომელიც მიეცათ ღმერთს ნათლის-ღების დროს. რაც გინდოდეს, ია გვიქენი, მაგრამ არ იფიქრო, რომ ჩვენ ჩვენი ჭეშმარიტი სარწმუნოება დავსტოვოთ. ამ სიტყვებმა მეტად გააჯავრეს მურვანი, რომელიც შეარცხვინა ძმების ამისთანა გაბედულებამ. გაბრაზებულმა მურვანმა მისცა ისინი ძეტად ძნელ წვალებას და მერე ჩაყარეინა ისინი საპყრობილეში. ათ დღეს იყვნენ საპყრობილეში მხნე მეომარნი უფლისა იესო ქრისტესნი. მათ ამ ათ დღეში არც საჭელი ჰქონებიათ და არც სასმელი. მხოლოდ ლოცულობდნენ ღმერთსა და მასზედ ჰქონდათ იმედი; ამ ათ დღეში მრავალნაირათ აწვალებდნენ მათ. ბოლოს კიდევ გამოსცადა ისინი მურვანმა და ამატომ მიუჩინა მათ ეშმაკი და გამოცდილი თავისი მოლები და პერსიელნი მოკვები, რომლებიც ყოველივე საშუალებას ხმარობდნენ, რომ როგორმე შეეცდინათ თავადები და ძიელებინებინათ მათვის მაჰმადის სარწმუნოება. მაგრამ მოწამენი მტკიცედ იყვნენ სარწმუნოებაზე, როგორც თავ-და პირველათ. ბოლოს მოთმინებიდგან გამოსულმა მოწამეებმა გადაწყვეტით უპასუხეს გამოგზავნილებს: «უთხარით თქვენს გამომგზავნს, რომ ჩვენ მზათა ვართ მოვკვდეთ, ვინემ უარ ვყოთ ქრისტე და ვიწამოთ წინასწარმეტყველად მაგომეტი».

როცა მოლები და მოგვები ვერას გახდენ, მობრუნდნენ და მიახსენეს მურვანს: «ჩვენ ყოველივე ღონისძიება ვიხმარეთ, რომ შეგვეგონებია მათთვის, რათა მათ მიელოთ მაჰმადის სარწმუნოება, მაგრამ ისინი ისევ შეურყეველნი დარჩნენ და, ვგონებთ, არაფრით იმათი მოქცევა არ შეიძლება: საპყრობილეში დამწყვდევას ვერ უმოქმედნია იმათზე.» გაიგონა თუ არა ეს, მწვალებელმა გრძანა, რათა შეესრულონ მათზე სასტიკი დასჯა: «ჯერ ორივე ძმები, გრძანა მურვანმა, ჩამოჰკიდეთ თავ-დაღმა და ისე სცემეთ და მერმე შეაბით მათ კისრებზე მძიმე ქვები და ჩაჰყარეთ კლდიდგან რიონში. ძოწამეებმა სთხოვეს მურვანს, რომ მას მიეცა მათთვის დრო ლოცვისთვის; მაშინვე მათ აღიპყრეს თვალნი ცისკენ და აღმოსთქვეს: «უფალო იესო ქრისტე, ძეო ღვთისაო, რომელმაც ღირს გვყავ ჩვენ წამებისა! გევედრებით შენ, დაიცავ ჩვენი სხეულნი შთამომავლობის სახსოვრად, როგორც ჩვენ ვინახავდით მათ შენის მადლით სიწმიდით და მიეც მათ ძალა გაკურნებისა და ცოდვათა მიტევებისა ყოველთა, რომელნიც თაყვანსა სცემდენ. «ჰა, უფალო იესო! შენს ხელში ვუტევებთ ჩვენს სულსა. ამინ.» —გაათავეს თუ არა მათ ლოცვა, მაშინვე მტრებმა გადაჰყარეს მოწამენი მდინარე რიონში. ეს მოხდა ოთხს ოკტომბერს, 740 წელსა. ისინი ჩააგდეს მდინარე რიონში იმ ადგილის ცოტა ქვემოთ, სადაც უწინ ყოფილა ძველ ქ. ძუთაისში, მთაზე აშენებული წმიდა ~~ეკლესია~~ ~~და~~ დამიანეს ეკლესია.

მაგრამ უფალმა ღმერთმა, რომელიც ადიდებს მადიდებელთა მისთა და რომელიც მყრობელია მიწისა და წყლისა, დააგვირგვინა ესეთი წვალება წმიდათა მოწამეთა მრავლითა სასწაულებითა.—რა წამს წმიდანი მოწამენი გადაუშვეს მდინარე რიონში,

ცაში შეიქმნა ქუხილი, რომელმაც ისე შეაშინა მწვალებელი არაბნი, რომ სწრაფად გაიფანტ-გამოიფანტნენ სხვა-და-სხვა ადგილას; მაგრამ ძლიერი ხელი შეფლისა ყველგან სდევნიდა მათ: ძრიელმა წვიმამ, სეტყვამ და დიდმა წყალდიდობამ გასწყვიტა მრავალი რიცხვი მურავანის ჯარებისა, რომელნიც დაბინაევებულნი იყვნენ ცხენის წყლის, აბაშის და შაეი ზღვის ნაპირებზე.

მოწამეების გვამნი არ ჩაუძირავს წყალს, თუმცა იმათ დიდი ქვები ეკიდათ კისერზედ, არამედ მაღლა დაცურავდნენ და განთავისუფლებულ იქმნენ ყოველივე საკერელისაგან. ღამით იმ ადგილს, სადაც იყვნენ გვამნი წმიდათა, ცეცხლის სვეტი ადგა, რომელიც ანათებდა არა ჩვეულებრივად და მასთან ისმოდა ხმა, რომელიც უბრძანებდა ყოველთა ქრისტიანეთა, რათა აიღონ მათ გვამნი მოწამეთა და წაიღონ აღმოსავლეთის მხრით, იმ ადგილს, საცა ეხლა განისვენებენ გვამნი ამა წმიდათა. ამ დროს მოწაფეების პატიოსანი სხეულნი გამოტანილ იქმნენ მდინარის ნაპირზე. არა ჩვეულებრივმა სინათლემ და ზეციურმა ხმამ მოიყვანა მდინარის ნაპირზე ზოგიერთნი მეომარნი მოწაფეების ჯარისაგან; იმათ წაასვენეს პატიოსანი გვამნი მოწამეთა ნაჩვენებს ადგილზედ და ჩაასვენეს ძველს სასაფლაო აკალდამაში, რომელზედაც იყო ნახევრობით დამგვრეული ხარების ეკლესია. სამასი წელიწადი ესვენენ აქ წმიდათა ნაწილები და ყოველთვის მათგან ღებულობდნენ მათი მავედრებელნი სასწაულებრივ კურნებას; ბოლოს, მეთერთმეტე საუკუნის პირველ ნახევარში (1040 წელსა) წმიდა მოწამენი გამოეცხადნენ ძილში ბაგრატ მეფეს და უბრძანეს, რომ მას ამოეღო წმიდათა ნაწილნი და გადაესვენებინა ეკლესიაში. ამიტომ მეფე ბაგრატმა განაახლა ეკლესია, რომელიც ამ სასაფლაოზე იდგა და შემდეგ მასში გადაასვენა წმიდათა მოწამეთა ნაწილნი, რომ უფრო ცხადათ შესძლებოდათ მორწმუნეთა მათი თაყვანის ცემა. ამ დიდი წვალებისათვის, რომელსაც თან მოჰყვა ამისთანა დიდი დიდება, წმიდანი მოწამენი იწოდებიან მთავარ-მოწამეებათ.

Ძ. ᲫᲣᲗᲐᲘᲡᲘᲓᲒᲐᲜ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲗ, ᲔᲥᲕᲡ ᲕᲔᲠᲡᲖᲔ, ᲦᲠᲛᲐ ᲮᲔᲝᲑᲐᲨᲘ, ᲫᲜᲔᲚᲐᲓ ᲛᲘᲡᲐᲕᲐᲚ ᲙᲚᲓᲔᲖᲔ, ᲠᲝᲛᲚᲘᲪ ᲡᲐᲛᲘ ᲛᲮᲠᲘᲗ ᲨᲔᲛᲝᲖᲦᲣᲓᲣᲚᲘᲐ ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲬᲧᲐᲚ-ᲬᲘᲗᲔᲚᲘᲗᲘ, ᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲬᲐᲛᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲔᲠᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲗᲐᲕᲘᲡ

სიძველით და წმიდანებით მეტად შესანიშნავია არამც თუ მთელ Იმერეთში, არამედ მთელ საქართველოში.

ეს მონასტერი იმყოფება ციცაბო, აღმართ დაღმართიან და სამკუთხიან მთაზე, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, კლდეზე, რომელიც სამი მხრით—აღმოსავლეთით, სამხრეთით და დასავლეთისკენ შემოზღუდულია მდინარეთი, რომელსაც ჰქვია წყალ-წითელა. ამ სამი მხრით მონასტერს კაცი ვერ მიუდგება. მდინარის ნაპირზე და კლდის ძირზე არის გაშენებული პატარა ბაღები. ახლო-მახლო არის სახნავ-სათესი ადგილები. მონასტრის გარშემო და შიგ ეზოში ხარობენ ხეები, და მათ რიცხვში არიან დაფნის ხეები. მაღლობზე მონასტრის ეკლესიასთან არიან პატარა შემოლობილნი ბოსტნები. აქვე არის შენობები, რომლებშიაც სცხოვრობენ ბერები. არის აშენებული სასტუმრო მომავლელთათვის. ეკლესიის სამრეკლო არის ახალ გვგმაზე აშენებული მშვენიერი თლილი ქვით; ეს სამრეკლო არის აშენებული 1845 წელში ყოველად უსამღვდელოესის Იმერეთის მიტროპოლიტის დავითის განკარგულებით. ცოტათი მაინც ამშვენებს ეს სამრეკლო მონასტრის ეზოს; აქვე არის ორი ქვის კოშკი, რომელთაც კედლებში აქვსთ ვიწრო სანათურები; ეს სანათურები გვანან ციხეების ზარბაზნის სასროლ სანათურებს. ერთი კოშკი არის აშენებული სამხრეთ-დასავლეთისკენ; ამაში გადის წვრილი გზა, ალაგ-ალაგ, ხის ფიცრებისაგან გაკეთებული; მეორე კოშკი ჩრდილოეთ აღმოსავლეთისაკენ არის. ამ კოშკში ინახებიან მონასტრის ზოგიერთი ნივთები.

მაგრამ ყველაზე უფრო შესანიშნავი შენობა ამ მონასტერში არის თვით მონასტრის ეკლესია; ამას აქვს გუმბათი, აშენებულია უბრალო მოყვითალო ქვითა. ეკლესია ისე მიახლოებულია ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის კლდეზე, რომ ეკლესიის გარშემოელა არ შეიძლებოდა წინეთ, მაგრამ მამა არხიმანდრიტის ბესარიონის შრომით და მეცადინეობით ტაძარს ამოუშენდა აღმოსავლეთით მაღალი კედელი და დღეს თავისუფლად უელის კაცი ეკლესიას. ეკლესია შელესილია და დახუჭულია თუნუქით. ის თუმცა დაბალია, მაგრამ იქაურს შენობებს სჯობს. ეკლესიაში, შედის კაცი სამხრეთის და დასავლეთის კარებებიდან. აღმოსავლეთის მხრით ამ სხვა მხრით ნივთეულობით ღარიბ მონასტერში, ამაღლებულ ადგილზე დღეს არის მშვენიერი ხელოვნებით ბრონზისაგან გაკეთებული მოვერცხლული და მოოქვრილი

ლუსკუმა. ეს ახალი ლუსკუმა გაკეთებულია დეკანოზის მ. დავით ღამბაშიძის თაოსნობით ამ 1895 წელს. ჩვენის აზრით, ყველა მკითხველისათვის სასიამოვნო უნდა იქმნეს ამ ახალი ლუსკუმის აგების და მოპოების ისტორია. აი დაწვრილებითი ამბავი ამ ხსენებული ლუსკუმის აგების შესახებ, რომელიც ჩვენ მოგვყავს ოფიციალური წყაროებიდან:

1889 წელსა მარტის 31 № 46 «მწყემსი»-ს რედაქტორმა დეკანოზმა დავით ღამბაშიძემ მიართვა რაპორტი მის ყოველად უსამღვდელოესობას იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელს შემდეგი შინაარსისა: «სწორეთ სამწუხარო სანახავია სასაფლაო ღირს სახსოვარის საქართველოს მეფის დავით III აღმაშენებლისა, რომელმაც დაიხსნა საქართველო სრულის აოხრებისა და გათათრებისაგან, რომელსაც უქადდენ ჩვენს მხარეს თათრები და სპარსნი. აგრეთვე სასურველია მოპოებულ იქმნეს წმ. მთავარ-მოწამეთა დავით და კონსტანტინეს გვამთათვის შესაფერისი ლუსკუმა. დავით აღმაშენებლის სასაფლაოზე სრულებით არავითარი ძეგლი არ არის, ხოლო ის უბრალო თლილი ქვა, რომელიც ფარავს ამ წმიდა მეფის სასაფლაოს, იმდენად შეუნიშნავია, რომ მასზე არსებული ძველი წარწერა ძლივლა ამჩნევია ძველი დროიდგან მასზე მოსიარულეთაგან, თუმცა დღეს ამ სამლოცველოით მონასტერში შესვლა აკრძალულია.

რა უწესოებას ხედავს კაცი წმ. მოწამეთა დავით და კონსტანტინეს დღესასწაულობაზე მოწამეთის მონასტერში, როცა მლოცველნი მიდიან მოწამეთა ნაწილების სამთხვევად იმას გამო, რომ ლუსკუმა, რომელშიაც ასვენია ამ მოწამეთა ნაწილები, ზედ კანკელზეა მიშენებული, გარს არა აქვს რიკული, რომ მლოცველები გროვათ არ მიდიოდნენ წმიდათა ლუსკუმას სამთხვევად. ხანდისხან საკურთხეველის სალარიოშიაც შედიან მლოცველები, ყოველივე ეს დიდის მშვენიერებით შეიძლება მოართოს კაცმა თქვენი მწყემსმთავრული ნებადართვით და შემწეობით.

ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ ყოველი ქართველი, რომელშიაც ჯერ კიდევ მოიპოება ქრისტეს სარწმუნოება და პატივის-ცემა ძველ ნაშთადმი, სიხარულით შემოიტანს თავისს წვლილს ზემოთ მოხსენებული საგნების სასარგებლოდ და დავით მეფის სასაფლაოზე სამლოცველოს განსაახლებლად.

უმორჩილესად ვსთხოვ თქვენს ყოველად უსამღვდელოესობას, კეთილ ინებოთ და დანიშნოთ კომიტეტი, რომელსაც მიენდოს დავით აღმაშენებლის სასაფლაოზე ძეგლის აღშენება და სამლოცველოს განახლება და მოწამეთა დავით და კონსტანტინეს ნაწილთათვის შესაფერი ლუსკუმის მოპოება და მიეცეს ამ კომიტეს კონდაკი შეწირულებათა შესაკრებად და ჯეროვანი ინსტრუქცია მოქმედებისათვის, ამასთანავე მოვახსენებ თქვენს მეუფებას, რომ მე დიდის სიამოვნებით მივიღებ ჩემს თავზე ყოველივე შრომას ამ წმიდა საქმის შესრულებისათვის».

მისმა ყოველად უსამღვდელოესობამ იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა თანახმად ზემოხსენებული რაპორტისა კეთილ—ინება დანიშნა კომიტეტისა, რომლის წევრებათ დასახელებულ იქმნენ გელათის მონასტრის წინამძღვარი არქიმანდრიტი სერაფიონი, თვით დეკანოზი დ. ღამბაშიძე, მოწამეთის მონასტრის წინამძღვარი არქიმანდრიტი ბესარიონი და ქუთაისის საკათედრო ტაძრის დეკანოზი გაბრიელ ცაგარეიშვილი. კომიტეტს მიეცა ყოველად სამღვდელოესაგან შემოწირულებათა შესაკრები წიგნი და გამოეცხადა მღვდელმთავრისაგან დეკანოზს ღამბაშიძეს, რომ იგი თავისი გამოცემის საშუალებით მიქცეულიყო საზოგადოებისადმი, რომ შემწეობა აღმოეჩინა ამ კეთილი საქმისათვის.

კამიტეტის ერთმა წევრმა დეკანოზმა გაბრიელ ცაგარეიშვილმა უარი განაცხადა ამ კამიტეტში მოღვაწეობის მიღებაზე იმის გამო, რომ მასს ბევრი სხვა საქმეებიცა აქვს მინდობილი. კომიტეტი შემდეგი მოწოდებით მიიქცა საზოგადოებისადმი:

ღვთის-მოუვარენო ქართველნო!

ოოგელ ხალხთა, რომელთაც აქვსთ ისტორიული წარსული დ აღუბეჭდავთ გზა ღრმა კვალით სამცნებლად და სამოძღვროდ მომავალ შთამომავლობათათვის, შეუტანია მსოფლიო საკუთარი სულიერ სიმდიდრეთა საუნჯეში თავისი წვლილი,—ოოგელთვის ჭქონდათ და აქვთ უმეცრებასა წმინდანი ანუ სახად ისტორიულ მოღვაწეთა, რომელთაც თავიანთი ბრძნული მმართველობით და მამტკიცებით წაღმა უტრიალებიათ მათი ბედის ჩარხი, ანუ სახად მაღალ მოღვაწეთა სარწმუნოებისა და ზნეობისა, ანუ სახად უტუკ ნაშთთა მაღალ სულოვნურ მეცნიერებათა და ხელოვნებათა,—წმინდანი, რომელთაც ისინი ექცევიან დიდის კრძალვით, პატივცემით და დიდებით და იმათგან აღიკსებიან და განიმსჭვალებიან მაღალი აზრებითა და გრძნობებითა, რომელთა განსაზღვრეულებას ისინი ემსახურებოდენ წარსულს

დიდებულს დროებში. გაზვიადებული არ იქნება ვსთქვათ, რომ რომელიმე სალხის ბატიკისტემის და კრძალვის ძალა ამ წმიდა საგნებისადმი ცხადათ გვიჩვენებს, თუ რა სამაღლეზე სდგას ეს სალხი გონებრივად და ზნეობრივად, გვიჩვენებს მის ნადს ძალ-ღონეს შემდეგ დროთათვის სარწმუნოდ და სასიცოცხლოდ. ეს კეთილი წმიდანი ერთი საუკუნიდან მეორე საუკუნეში, ერთი შთამომავლობიდან მეორეში უქრობელად იცავენ და ინახავენ სალხის გულში წმიდა და ცხოველ მოგონებათა წარსულში მომხდარს დიდს ისტორიულ მოკლენათა.

საქართველო, როგორც ძველანა, განთქმული თავისი ისტორიულის წარსულითა, შემკული სხვა-და-სხვა თვრისა და სახის სახელოვანი ისტორიულის ღვაწლებითა, არა გვგონია, რომ ამ მხრით ჩამოუარდეს რომელიმე სხვა ქვეყანას, დღემდი მთელად შენახულს და გადარჩომილს ბედის საშინელის წალმა-უკულმა ტრიალისაგან. ჩვენ ქართველები—მდიდარნი ვართ ეროვნულ გვარისა და სახის წმიდანებითა და ნაშთებით. საქართველოის წმიდანთაგან დღეს ჩვენ მივაქცევთ კეთილ-მორწმუნე მართლ-მადიდებელ ქრისტიანეთა ყურადღებას მეფე დავით III აღმაშენებელის საფლავზე გელათის მონასტერში და არგვეთის მთავართა დიდთა მოწამეთა ძმათა დავით და კონსტანტინეს ეხრწნელს გვამზედ მოწამეთის მონასტერში. რადგან ჩვენ დავ ამ წმიდათა მეტად ღარიბულს და უბრალო გარეგან მოწყობილობას, არ შეგიძლია არ დაფიქრდე მწუსარებით დღევანდელს ქართველების არა მოსატეკებელს გულგრილობაზედ მათდამი. თუ ძველ დროში ჩვენი კეთილ-მორწმუნე წინაპარნი,—თუმცა ისინი მარად დიდს შიში და უბედურებაში იყვნენ ხავარდნილნი გარშემოსეულ ბარბაროსულ მტერთა გლეჯვა-ცარცვისა, ყლეტა-ხოცვისა და წვა-დაგვისაგან,—მაინც ყოველი ღონის ძიებით იცავდენ თავიანთ წმიდანებს მართებულს გარეგანს მოწყობილობაში,—დღეს ჩვენთვის, რომელნიც ვსტკბებით სრულის მშვიდობიანობითა და მოსვენებით რუსეთის ძლიერის მფარველობის ქვეშ,—სწორედ დიდს ცოდვას შეადგენს ესრეთი გულ-გრილობა წმიდა ადგილების შესახებ!...

ვის არ უნახავს დიდი დავით აღმაშენებელის საფლავი? ვინ იფიქრებს, რომ ამ უბრალო, ბრტყელი ქვის ქვეშ განისვენებს გვამი იმ დიდის კაცისა,—რომელიც ოდესღა მთელს კავკასს აღავსებდა თავისი დიდებითა და სახელითა, და მბრძანებელი იყო მთელი კავკასის ყველა კასპიის ზღვიდამ მოუოღებული შავ-ზღვამდე, იმ კაცისა, რომელმაც ბატარ-ბატარა დაწოგებულის და დაუძლურებულის საქართველოის მრავალ სამეფოებისა და სამთავროებისაგან შექმნა ერთიანი და ძლიერი სამეფო,—იმ ყოველად სამგალითოის გვამისა თავისი სარწმუნოების სიყვარულითა და წმიდის ზნეობითა, რომელმაც ალაშენა შესანიშნავი გელათის ტაძარი, დღემდი გადარჩენილი და მთლად შენახული სხვა მრავალი მისგანვე აღმშენებული შესანიშნავი მონასტერნი და ტაძარნი.

რაც შეეხება წმმ. დავითისა და კონსტატინეს გვამთა,—უნდა აღვიარეთ, რომ ესენი ერთად ერთი წმიდანნი არიან მთელს საქართველოში, მაგრამ სამწუსარად, არ არიან შესაფერად მოართულნი და მოწყობილნი: არა აქვთ მათ შესაფერი გუბო და სხვა საჭირო მოართულობანი, იგინი განისვენებენ უბრალო ხის გუბოში...

ეველა ამაების გამო, იმერეთის ეპისკოპოსის, ყოველად სამღვდელო გაბრიელის ლოცვა კურთხევით დაარსდა კომიტეტი განსაახლებლად სამლოცველო ეკუდერისა დავით აღმაშენებელის საფლავზე და ახალი გუბოის გასაკეთებლად წმიდათა მოწამეთა დავით და კონსტანტინეს გვამთათვის...

მივიღეთ რა თანამდებობა ზემოხსენებული კომიტეტის წევრობისა, ჩვენს მოვალეობად ვსთვლით მიქცევთ ამ მოწოდებათ. ყოველთა მართლ-მადიდებელთა მორწმუნეთადმი, წმიდა ადგილთა კეთილ-შემკობის მოყვარეთა, და გასაკუთრებით იმ ქართველთადმი, რომელნიც ვალდებულნი არიან ბეკრფასად მიიჩანონ ყოველივე ის, რაც შეადგენს მამულის საბატიო განძს, რომელნიც ვალდებულნი არიან ბატივი სცენ ჩინებულთა მის ძეგლთა, და უმორჩილესად ვთხოვთ, მათ მიიღონ მონაწილეობა ამ კეთილ საქმეში თავიანთი შეწირულებითა, რაისაოვეს მოწეალე უფალი ერთი-ორად მიაგებსთ ამა კეთილ შემწირველთა და არ დატოვებს მათ უმოწყალოდ.

ეს მოწოდება როგორც ცალკე, ისე გაზეთ «მწყემსში» იყო დაბეჭდილი და დარიგებული ხელზე. თვით რედაქტორი ამა გაზეთისა შემდეგი შინაარსის წერილებით მიექცა მრავალ პირთადმი:

მეფის დავით III აღმაშენებელის ღარიბულს საფლავზე გელათის მონასტერში შესაფერი სამლოცველოს უქონლობამ და მეტად უბრალო გუბომ ჩვენ მოიყვარ წმიდათა მოწამეთა არგვეთის მთავართა ძმათა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით და კონსტანტინეს მოწამეთის მოსასტერში დიდი ხანია აღძრა ჩვენში მხურვალე გულის წადილი— როგორმე აღგებულიყო დავითის საფლავზე შესაფერი სამლოცველო და ჩვენ მოწამეთა წმიდათა გვამთათვის გაკეთებულიყო შესაფერი კუბო. ამ მიზნით 31 მარტს ამა წლისა ჩვენ მივართვით მის უოვლად უსამღვდელოესობას, იმერეთის ეპისკოპოსს გაბრიელს მოხსენება და ვსთხოვეთ ლოცვა-კურთხევა და ნება-რთვა ამ წმიდა საქმეზედ. უოვლად სამღვდელომ კეთილ-ინება და გვიბოძა თვისი კურთხევა და ნება-რთვა მოგვეგრიბა კეთილმნებელთთ შემწირველთაგან შესწირავი ამ საქმის განსახორციელებლად.

აწ, გიგზავნით რა თქვენ მოწოდებას და ხელ-მოსაწერ ფურცელს,—სრული იმედი გვაქვს, რომ არ დაიშურებთ თქვენის საშუალებიდამ შეძლებისად-გვარად წვლილის შემოწირვას ამ წმიდა საქმისათვის, რომელიც უმჯობესად თქვენთვისაც ისეთივე ძვირფასია და სასტრელი, როგორც ჩვენთვის,—და ეგრეთვე მოიწვევთ შეწირულებისათვის თქვენ ნაცნობთა, მახლობელთა და ხელ ქვეითაც, რათა ნამდვილ და მალე დაგვირგვინდეს ეს საქმე.

მადლობა ღმერთს, რომ კომიტეტის ფიქრი და საქმის დამწყების იმედი არ გამტყუნებულა. ქრისტეს მოყვარე ქართველთ თანაგრძობით მიიღეს ამ საგნის შესახებ მოწოდება და წერილები და დღემდის ამ კეთილ საქმის დასაგვირგვინებლად შეგროვდა სამი ათას ორას ორმოც მანეთამდე. სია ყველა შემწირველთა მოყვანილი და დაბეჭდილი იქნება ცალკე გამოცემულ წიგნაკში.

ახალი ლუსკუმის აღწერილობა.

ახალი ლუსკუმა არის ბრონზისაგან გაკეთებული მოვეცხლული და მოოქვრილი. ლუსკუმა სიგრძით არის სამი ალაბი, სიგანით ერთი ალაბი და ოთხი გოჯა, სიმაღლით ერთი ალაბი და სამი გოჯა. წინა გვერდზე ლუსკუმისა არის შემდეგი გამოხატულება: აქეთ იქით წმიდანი მთავარ-მოწამენი დავით და კონსტანტინე, მთავარ ანგელოზები და შუაზე საქართველოს ძველი სამეფო გერბი, რომელზედაც არის გამოხატული კვართი უფლისა აქეთ იქით ლოგებით, მართლ მსაჯულების ემბლემა—სასწორი, შურდული დავითისა, მანიაკი და ქვეყნიერობა. ირგელივ ყველა ამათ აქვსთ შემოვლებული მშვენიერი ჩუქურთმა ქართული ხასიათისა. თავისკენ არის ამოჭრილი მოოქვრილი ხუცური ასოებით ტროპარი და კონდაკი მთავარ მოწამეთა. ლუსკუმის სახურავზე არის გაკეთებული მშვენიერი ხელოვნების ხატი დავით და კონსტანტინესი და ზემოთ დაფარებულია სქელი შუშა. ნახევარ სახურავზე ძირისკენ არის შემდეგი წარწერილობა მხედრული მოოქვრილი ასოებით:

წმიდანი მთავარ-მოწამენი, ღვაწლითა შემოსილნი არგვეთისმთავარნი დავით და კონსტანტინე, რომელ ნიცა იწამნეს ქრისტეს სარწმუნოებისა და სამშობლოსათვის საბრძანებელსა ქართველთასა, შემდგომად მიცვალებისა დიდისა და მაღლისა მეფისა ვასტანგ გორგასლანისასა მურვან-ყრუსაგან წელთა დასაბამითგან ექვსი ათას ორას ორმოცდა ცხრასა, ხოლო ქრისტეს აქეთ შვიდას ორმოცდა ერთსა.

შეხედით ლუსკუმაზე მოოქვრილი ასოებით შემდეგი წარწერილობაა:

ლუსუკმა ესე წმიდათა, მთავარ-მოწამეთა სარწმუნოებისა და სამშობლოსათვის თავდადებულთა დავით და კონსტანტინეს გვამთა განსასვენებლად აღგებულ იქმნა წელსა ათას რვაას ოთხმოცდა თუთხმეტსა, კურთხევითა და ნებართვითა ეოვლად უსამღვდელოესის იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისათა, თაოსნობითა დეკ, დავით ღამბაშიძისათა და საფასითა ღვთივ-მოუვარეთა ქართველთა მიერ შენაწირითა.

ლუსკუმა ასევენია მარჯვენივ მხრით ეკლესიის შუა კედელთან და ამაღლებული ადგილი არის მშვენიერი ეკლარას თლილი ქვისაგან გაკეთებული კალატოზის ისიდორე ბერეკაშვილისაგან. ლუსკუმა მოტანილ იქმნა სეკტემბრის 26 რიცხვს 1895 წლისა და ამ ახალ ლუსკუმაში შემდეგ წირვისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და პარაკლისის გარდახდისა წინამძღვარმა მოწამეთის მონასტრისამან არხიმანდრიტმა ბესარიონმა ადგილობითი ტაძრის კრებულის თანადასწრებით ჩაასვენა ძველი ხის ლუსკუმა, რომელშიაც ასვენიან ნაწილნი მთავარ-მოწამეთა დავით და კონსტანტინესი.

რამდენიმე სიტყვა მთავარ-მოწამეთა დავით და კონსტანტინესს დღესასწაულობის შესახებ მოწამეთის მონასტერში.

მთავარ-მოწამეთა დავით და კონსტანტინეს დღესასწაულობაზე, 2 ოქტომბერს დიდ ძალი მლოცველები იკრიბებიან მოწამეთის მონასტერში.

მრავალი მლოცველები რამდენიმე დღით ადრე მიდიან მოწამეთის მონასტერში ფეხით და ბინავდებიან — შეძლებულნი მონასტრის შენობებში, ხოლო ღარიბნი მონასტრის ახლობლად ხეებ ქვეშ და მონასტრის შენობების გვერდით. აქ მლოცველები ესწრებიან ღვთის-მსახურებას და დიდის გულის მოდგინებით ევედრებიან უფალსა, რომ ღირსეულად მიეკვეანენ დღესასწაულს; მაგრამ, სამწუხაროდ, მლოცველთ ჩვეულებად არა აქვსთ, რომ მოემზადონ და მიიღონ წმიდა საიდუმლო, როგორც ეს ჩვეულებად აქვსთ მლოცველთ რუსეთის მონასტრებში. ზოგიერთი მლოცველები, მაგალითად ახლო მახლო მხარეების და ქ. ძეთისის მცხოვრებნი მიდიან მონასტერში თვით დღესასწაულის დღეს, დილით ფეხით, განსაკუთრებით ქალები. ადგილობითი ეპარქიის მღვდელ-მთავარი თავის აუცილებელ მოვალეობადა სთვლის, რომ ამ დღესასწაულზე დაესწროს მლოცველების სასიხარულოდ, რის გამო დღესასწაული უფრო ბრწყინვალედ ჩაივლის ხოლმე. დიდ ძალი ხალხი იკრიბება მონასტერში ამ დღეს, რის გამოც ტაძარში ისეთი სივიწროვე არის ხოლმე, რომ ვინც თავის დროზე ვერ მოასწრებს ტაძარში შესვლას, მის შემდეგ აღარ შეუძლია ტაძარში შესვლა. მლოცველთა შორის შეხვდებით იმერეთის ზოგიერთ ღვთის მოსავ თავადთ და აზნაურთ, სამოქალაქო და სამხედრო უწყებათა მოსამსახურეთ სამთავე ალსარებისას. და მრავალ უბრალო ხალხს ორივე სქესისა, სხვა და სხვა თემისა და ალსარებისას, მახლობელ და შორეულ მხარეთაგან.

წირვის გათავების შემდეგ სამღვდელო პირნი გამოდიან საკურთხეველიდან, სდგებიან მოწამეთა კუბოს მახლობლად და იხდიან პარაკლის, რომელიც განსაკუთრებით შედგენილია ამ მოწამეთა მოსახსენებლად. ხშირად პარაკლისის შესრულების დროს ლუსკუმა თავდახურულია, ვინაიდგან მლოცველები ხშირად ივიწყებენ ყოველივე წესიერებას და ეშურებიან, რათა ემთხვიონ წმიდა მოწამეთა ნაწილებს. პარაკლისის შესრულების დროს წმ. ეკლესია, სხვათა შორის, მადლობს ღმერთს, რომელმაც დაამხო ბარბაროსთა სამეფო და მისი მფარველი, წმიდა მოწამეთა შუამავლობით, რომელთაც შესწირეს თავისი სული, წმიდა სარწმუნოებისათვის და დაანთხიეს სისხლი მტერთა ბრძოლაში, რომელნიც ძველადგანვე მტრობდენ ქრისტეს ეკლესიას.

საზოგადო პარაკლისის შემდეგ კერძო პირნი იხდიან სამადლობელ პარაკლის. ბოლოს მონასტრის წინამძღვარი არქიმანდრიტი მიიპატიჟებს ხოლმე მღვდელ-მთავარს და სხვა მრავალ წარჩინებულ პირთ როგორც საეროთ, ისე სასულიერეოთ სადილზე, ხოლო სხვები კი მიდიან თავიანთ ადგილებზე და ადგილობითი ჩვეულებისამებრ მხიარულობენ. ნასადილევს მლოცველები ერთხელ კიდევ სცემენ თიყვანს წმ. მოწამეთა კუბოს და შემდეგ გაემგზავრებიან შინისაკენ, დამითი თავდება დღესასწაული.

მეწერულებანი.

ბ. რედაქტორო.

უმორჩილესად გთხოვთ, რომ თქვენი პატივცემული გაზეთის «მწყემსის» საშვალებით უდრმესი მადლობა გამოუცხადოთ იმ პირებს, რომლებმაც კეთილ ინებეს და შემოსწირეს ჩემდამი რწმუნებულს მეწიეთის წმიდის გიორგის ეკეკლესიას საეკეკლესიო საგნები 94 მან. და 30 კ.

ესაა შემომწირველთა:

ვაჭარმა ივანე სვანიშვილმა ერთი ფრაქის კანდელი, ღირებული 5 მან., სტეფანე ლუკას ძე კალანდაძემ ერთი სანცეცხლური, ღირებული 20 მან., ზაქარია ჭიჭინაძემ ერთი ხელი შესამოსელი, ღირებული 15 მან., რეზეკა თალაკვაძის ასულმა სანცეცხლურის ფეხებიანი დ სკიდი რვინა ღირებული, 5 მან. ადგილობითი მღვდელმა შეკსწირე ერთი გასაზვეებელი და ორი თებში ფრაქის, ღირებული 5 მან. 30 კაპ.

მღვდელი სერგეი კალანდაძე.

სახელმძღვანელონი,

დაწერილნი იაკობ გოგებაშვილის მიერ.

დედა-ენა, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, საერო და სამრევლო სკოლებში სახმარებელი, მეცხრე შეესებული გამოცემა, დაბეჭდილი წერა-კითხვის საზოგადოების მიერ. ამ გამოცემაში ჩართულია თავში სახატავი სურათები და ბოლოში საწერი დედანი, ასე, რომ ამ წიგნის მხმარებელთ აღარ მოუნდებათ სყიდვა არც სახატავებისა და არც დედანისა. ფასი ისევ ექვსი შაურია, ყდით ორი აბაზი. ეს წიგნი მოწონებულია და ქართულის ენის სახელმძღვანელოდ დანიშნული განათლების სამინისტროს მიერ და უწმიდესის სინოდისაგან... მინც ერთად იყიდის ოც ათასან მეტს ცალსა, წიგნი დაეთმობა ხუთ შაურათ, ყდით 33 კაპ.

ბუნების კარი, ანუ საკითხავი წიგნი, უმცროსს კლასში სახმარებელი, მეშვიდე გამოცემა შემკული სურათებით და საქართველოს ქარტით, დაბეჭდილია წერა-კითხვის საზოგადოების მიერ. ფასი ყდით ოთხ-აბაზ უზალთუნი (90 კაპ.). უყდოთ ეს გამოცემა არ ისყიდება. მინც ერთად იყიდის ათს ცალსა, წიგნი დაეთმობა ოთხ აბაზად, ვინც ოცსა—თუთხმეტ შაურად და ვინც ოც-და-ათსა—თოთხმეტ შაურად. ეს წიგნი მოწონებულია სამინისტროსაგან, როგორც «მშვენიერი სახელმძღვანელო ქართულის ენისა» და აგრეთვე უწმიდესი სინოდისაგან.

კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, გამოცემა მეშვიდე, ფასი ორი შაური ნარდათ 8 კაპეიკი.

კონა საყმაწვილო მოთხრობათა ბუნების მეცნიერებიდგან, მესამე გამოცემა, სურათებიანი, ფასი ათი შაური. ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის ათს ცალსა, ცხრა შაურად მიეცემა წიგნი, ვინც ოცსა-ორ აბაზათ: წიგნი მოწონებულია როგორც სამინისტროსაგან, ისე სინოდისაგან.

ხ�, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება მოზრდილ ყრმათათვის, მეორე გამოცემა, ფასი ექვსი შაური. მოწონებულია სამინისტროსა და სინოდისაგან.

კუნწულა, ანუ საყმაწვილო მოთხრობანი, ფასი ორი აბაზი. მოწონებულია როგორც სამინისტროსაგან, ისე სინოდისაგან.

იავნანამ რა ჰქმნა? მოთხრობა მოზრდილი ყმაწვილებისათვის, ფასი ორი შაური.

ხატის მიზეზი? საყმაწვილო მოთხრობა, ფასი შაური.

ასკინარის ომი საყმაწვილო მოთხრობა მეფე ერეკლეს სურათით, და ქარტით, ფასი ორი შაური

მირითადი უკუღმართობა, პუბლიცისტური წერილი დედა-ენის მნიშვნელობის შესახებ კერძო ადამიანის და მთელის ერის ცხოვრებასა და წარმატებაში, ფასი ერთი აბაზი...

РУССКОЕ СЛОВО, часть первая, изданіе четвертое, цѣна тридцать копѣекъ, въ переплетѣ 40 копѣекъ.

РУССКОЕ СЛОВО, часть вторая, изданіе третье, цѣна 40 копѣекъ, въ переплетѣ 50 коп.

РУКОВОДСТВО для учащихъ къ преподованію русскаго языка по «Русскому Слову», цѣна 50 коп.

Обѣ части „Русскаго Слова“ одобрены въ качествѣ учебнаго руководства по русскому языку для грузинскихъ школъ, а „Руководство для учащихъ“ одобрено для библіотекъ низшихъ и среднихъ учебныхъ заведеній всего Кавказскаго учебнаго округа, и то и другое одобрено учебнымъ Начальствомъ, съ утвержденія Господина Главноначальствующаго. (смотри „Сборникъ“ распоряженій по управленію Кавказскимъ Учебнымъ округомъ стр. 1965 и 1967).

Равнымъ образомъ одобрено и рекомендовано „Русское Слово“ духовнымъ учебнымъ Начальствомъ.

15—1.

Редакторъ-издатель, П. Д. Гамбашидзе. *Дозволено цензурою. Тифлисъ*, 26 Сентября 1895 г.

Типографія редакціи (П. Д. Гамбашидзе). Въ Кутаисѣ, помѣщ. въ д. бр. Хананoвыхъ, на Нѣмецкой ул.